შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (9.864)

16 - 23 თებერვალი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წელს დედოფლის-წყაროში 3 339 876 ლარის გზებს დააგებენ

გვ. 2

რა ელირება ტრანსპორტის დაზღვევა?

გვ. 2

იუმორის საღამო

დედოფლისწყაროში

გვ.2

ახალგაზრდული ცენტრი — აქტიური ადამიანებისთვის

გვ. 4

„ყველანაირი ტექნიკით, ყველანაირი პირობა შევქმენით იმისათვის, რომ ახალგაზრდები ქუჩაში კი არ იდგნენ, არამედ აქ მოვიდნენ საკუთარი იდეებით.“

სილქნეტს თაღლითობაში ადანაშაულებენ და სასამართლოში უჩივიან

„როგორ იზარალა 12 წლიანი ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ქალმა 50 000 ლარი და რატომ არ სურს სილქნეტს ბრალდებებზე პასუხი?“

გვ. 3

ქეთევან თევდორაძე:

„არ მინდა დავიჯერო, რომ საკუთარ რაიონში დაბრუნებული ემიგრანტი, რომელსაც საქმის კეთება სურდა, გასასრესად განწირული დარჩება“

შრომის და ღვაწლის დაფასება

გვ. 5

ილიაუნის ნაკრების კაპიტნის წარმატებული სტარტი

გვ. 8

რა ელირება ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო დაზღვევა?

საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შემოდის. შესაბამისი ცვლილებები „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონში შედის, რომლის ინიცირება ბიუროს დღევანდელ სხდომაზე იგეგმება.

„სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ერთ-ერთი წამყვანი სავალდებულო დაზღვევის სახეობაა საერთაშორისო პრაქტიკაში. მძღოლის დაუდევრობის, უყურადღებობის, არასაკმარისი ცოდნის, სატრანსპორტო საშუალების არასათანადო მოვლა—პატრონობის და სხვადასხვა მიზეზის გამო, იზრდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების და გაუთვალისწინებელი შედეგების დადგომის ალბათობა. სწორედ სავალდებულო დაზღვევა ქმნის მატერიალურ გარანტიას, ერთის მხრივ, მძღოლისთვის და მეორეს მხრივ, დაზარალებულისთვის ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისთვის მიყენებული ზიანის დადგომის დროს“, — ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტის მე-5 მუხლი წლიური დაზღვევის მინიმალურ და მაქსიმალურ ფასებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების მიხედვით ადგენს.

კერძოდ: მოტოციკლისათვის, რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია — 75.00 — 110.00 ლარი; მსუბუქი ავტომობილისთვის, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3 500 კგ-ს, ხოლო დასასხდომი ადგილების (გარდა მძღოლის ადგილისა) რაოდენობა 8-ს არ აღემატება — 100.00 — 150.00 ლარი; ავტობუსისათვის, რომლის დასასხდომი ადგილების (გარდა მძღოლის ადგილისა) რაოდენობა 8-ს აღემატება — 160.00 — 240.00 ლარი; სატვირთო ავტომობილისათვის, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3 500 კგ-ს აღემატება — 210.00 — 310.00 ლარი; მისაბმელისათვის — 50.00 — 75.00 ლარი; სასოფლო-სამეურნეო მანქანისთვის, სპეციალიზებული თვითმავალი მანქანისთვის — 60.00 — 90.00 ლარი.

იუმორისა და სიმღერის საღამო დედოფლისწყაროში

15 თებერვალს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში იუმორისა და სიმღერის საღამო გაიმართა. თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ვანო იანტბელიძე, რუსთაველის თეატრის მსახიობი და ყველასთვის საყვარელი ტელესახე პაატა გულიაშვილი და ქართული ესტრადის მომღერლი ნინო ძოწენიძე დედოფლისწყაროელი მაყურებლის წინაშე მხატვრული, იუმორისტული და მუსიკალური ნომრებით წარდგნენ.

საღამოს მსვლელობისას დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიმართა და მირქმის დღესასწაული მიულოცა. კონცერტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ორგანიზებით ჩატარდა.

წელს დედოფლის-წყაროში 3 339 876 ლარის გზებს დააგებენ

რეგიონული განვითარების ფონდიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ორი პროექტია დაფინანსებული. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ მერის პირველმა მოადგილემ დავით ფხოველშვილმა განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, სამუშაოების შესასრულებლად მერიამ ტენდერი უკვე გამოაცხადა. სულ მალე გამოვლინდება კომპანიები, რომლებიც ამა თუ იმ პროექტით გათვალისწინებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს შეასრულებენ.

-„სოფელ სამრეკლოში შიდა გზის რეაბილიტაცია განხორციელდება, ქალაქ დედოფლისწყაროში პუშკინის ქუჩასა და ასევე რუსთაველის ქუჩასთან დამაკავშირებელ გზას ჩაუტარდება რეაბილიტაცია. მთლიანობაში მოთხოვნა გვაქვს 3 339 876 ლარზე, ამჟამად პროექტები შესყიდვის პროცესში ვართ. რომელ პროექტსაც შევისყიდით, პარალელურად ვაგზავნით რეგიონული განვითარების ფონდში და გვიფინანსებენ. ამ თანხით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, მოეწყობა გარე განათება და სპორტული მოედანი, “– აღნიშნავს დავით ფხოველიშვილი.

გაზეთი „შირაქი“ წინა ნომრებში უკვე იუწყებოდა, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში პუშკინის ქუჩის რეაბილიტაციისთვის 319 336 ლარი დაიხარჯება, ხოლო სოფელ სამრეკლოში შიდა გზის მოსაწყობად 373 990 ლარი.

ამას გარდა, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ჯამში დედოფლისწყაროს 384 000 ლარი გამოეყო, რიგ სოფლებში შიდა გზების მოწესრიგება თავად მოსახლეობის არჩევანის მიხედვით მოხდება.

სიყვარული და მისი მეცნიერული განმარტებები

სიყვარულის ფენომენის შესწავლასა და ახსნას ალბათ იმ დროიდან დაიწყო, როდესაც გამოქვაბულში ადამიანმა პირველად იგრძნო მუცელში “პეპლები”, იქიდან მოყოლებული არაერთი პოეტი, ფილოსოფოსი, ხელოვანი ცდილობს ამ ფენომენის ახსნას. ამ გამოწვევას არც სოციალური მეცნიერების წარმომადგენელნი შეუშინდნენ და შემოგვთავაზეს სხვადასხვა პერსპექტივა მოცემულ თემაზე. მათ შორის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რობერტ სტენბერგია, თავისი სიყვარულის სამკუთხედის თეორიით, რომელსაც განვიხილავთ ამ სტატიაში.

ცნობილი ფსიქოლოგის, რობერტ სტენბერგის ნაშრომებში სიყვარულის სამკუთხედის თეორია პირველად 1986 წელს გვხვდება, რომელიც, ძირითადად, ეფუძნება იელის უნივერსიტეტში ჩატარებულ ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს თეორია სხვადასხვა კვლევებისა და მრავალი კონცეფციების თავმოყრის საინტერესო მცდელობაცაა.

სტენბერგის თეორიაში განმარტებულია ინტერპერსონალური ურთიერთობების რამდენიმე კომპონენტი, რომელთა კომბინაციებიც ქმნის იმ რაღაცას, რასაც ჩვენ სიყვარულს ვუწოდებთ. უფრო ზუსტად, ავტორი გამოყოფს სამ ძირითად კომპონენტს. ესენია: ვნება, ინტიმურობა, ერთგულება. იქიდან გამომდინარე, რომ მოცემულ ტერმინმებს შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობა მივანიჭოთ, საჭიროა განვსაზღვროთ ის, თუ რას ვგულისხმობთ ამ ტერმინებში .

კომპონენტ „ვნებაში“ იგულისხმება ლტოლვა, რომელიც ადამიანს უბიძგებს რომანსისკენ, ფიზიკური მიზდვის, სექსუალობისა და სასიყვარულო ურთიერთობებში ინტენსიური ემოციებისაკენ, რომელიც თავისმხირვ, მოტივაციურ ფაქტორსაც მოიცავს.

კომპონენტ „ინტიმურობაში“ ნაგულისხმევია სიახლოვე, ზრუნვა, მყარი, ღრმა ახლო ურთიერთბა, მჭიდრო კავშირი, რომელიც ადამიანებს თავისუფალი გამოხატვის საშუალებას აძლევს,

კომპონენტ „ერთგულებას“ კი ავტორი განმარტავს, როგორც უფრო მეტად კოგნიტურ კომპონენტს, რომელზე დაყრდნობითაც ინდივიდი წყვეტს, უყვარს თუ არა მეორე ადამიანი და ეს ურთიერთობა მოკლევადიანი უნდა იყოს, თუ შედარებით უფრო ხანგრძლივი.

სტენბერგი გამოყოფს სიყვარულის შვიდ ფორმას, რომელებიც განისაზღვრება ზემოთ განხილული კომპონენტების არსებობით ან არარსებობით. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. „მოწონება“, როგორც წესი მეგობრებში გვხვდება და ხასიათდება მხოლოდ ინტიმურობის კომპონენტის არსებობით, როდესაც ინდივიდი განიცდის სიახლოვეს და სხვა ინტიმურობისათვის დამახასიათებელ გრძნობებს, ინტენსიური ვნებისა და ერთგულების გარაშე რომანტიკული გაგებით. მსგავსი სიყვარული შესაძლოა გახდეს სხვა ფორმის სიყვარულის საფუძველი.

2. ვნებიანი სიყვარულის შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ვნების კომპონენტი ინტიმურობასა და ერთგულების გარაშე. ამ კატეგორიაში შეიძლება მოთავსდეს ჩვენი სუპერ მოდელების, ფეხბურთელებისა და სხვა ცნობილი ადამიანებისადმი დამოკიდებულება. ასევე ამ კატეგორიაში მოთავსდება იმ ადამიანების ურთიერთობა, რომლებსაც ერთმანეთთან მხოლოდ სექსუალური კავშირი აინტერესებთ. ავტორის მოსაზრებით, მსგავსი ფორმის სიყვარული ყველაზე ხშირად ხდება რომანტიკული სიყვარულის საფუძველი იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ ინტიმურობა შესაძლოა დროთაგანმავლობაში განვითარდეს. თუმცა თუ არც ინტიმურობა და არც ერთგულება არ განვითარდება ამ ფორმის სიყვარულის დროს, მაშინ დიდი ალბათბით ის მალევე გაქრება.

3. ცარიელი სიყვარული არის, როდესაც ადამიანი პარტნიორის მიმართ განიცდის ერთგულებას თუმცა არ არსებობს ინტიმურობისა და ვნების კომპონენტი. თვალსაჩინო მაგალითი იქნებოდა ხანგრძლივ და მოსაწყენ ქორწინებაში მყოფი წყვილი, რომელიც თითქოს ინერციით აგრძელებენ ერთად ყოფნას. აღსანიშნავია, რომ ერთ დროს „ძლიერი“ სიყვარული შესაძლოა დროთა განმავლობაში ცარიელ სიყვარულში გადაიზარდოს.

4. რომანტიკული სიყვარული ხასიათდება ინტიმურობისა და ვნების კომპონენტის არსებობით. შეყვარებულები, რომელებიც ამ კატეგორიაში მოიაზრებიან, როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური კავშირი, მიჯაჭვულობა გააჩნიათ. ესაა ის სიყვარულის ფორმა, რომელსაც ყველაზე ხშირად ქორწინება მოსდევს თან. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი ტიპის სიყვარულისას ერთგულების კომპონენტის ნაკლებობა გვაქვს, როგორც კი ორივე პარტნიორისათვის საკმარისი იქნება გარკვეულ პერიოდში არსებული ურთიერთობა, მაშინვე დაიწყება რომანტიული სიყვარულის გაქრობა.

5. მეგობრულ სიყვარულში იგულისხმება ინტიმურობისა და ერთგულების კომპონენტი მაშინ, როდესაც ვნების ნაკლებობაა. ცხადია ეს ფორმა “მოწონებაზე” ძლიერია ურთიერთობის მხრივ, ერთგულების კომპონენტის გამო. მსგავსი სიყვარულის ფორმას შევხვდებით ხანგრძლივი ქორწინებისას, როდესაც პარტნიორებს ვნება აღარ სჭირდებათ იმისათვის, რომ დარჩნენ ერთმანეთზე შეყვარებულნი. ასევე ამ კატეგორიის ქვეშ შესაძლოა მოექცეს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაც, რომელიც უფრო პლატონური სახითაა წარმოდგენილი.

6. გიჟური სიყვარულის შემთხვევაში არსებობს ვნებისა და ერთგულების კომპონენტი, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით ინტიმურობის კომპონენტზე. ეს განცდა ერთი ნახვით სიყვარულსაც შეგვიძლია შევადაროთ, რადგან უეცრად გეუფლება და შეიძლება გარკვეული დრო გაგრძელდეს, თუმცა დროთა განმავლობაში ინტიმურობა თუ არ განვითარდა, ურთიერთობა დარჩება მოუმწიფებელი, ქაოტური და შესაძლოა ტრაგედიით დასრულდეს.

7. დაბოლოს, სრულყოფილი სიყვარული მოიცავს სამივე კომპონენტს. როგორც ვნებასა და ინტიმურობას, ასევე ერთგულებასაც. რაც იმას ნშნავს, რომ მსგავსი ფორმის სიყვარული, სტენბერგის მიხედვით, იდეალურ, ყველაზე სასურველ სიყვარულის ფორმად ითვლება.სტენბერგი ამბობს, რომ პარტნიორებს, სრულყოფილი სიყვარულის ფორმით, არ ბეზრდებათ ერთმანეთი, ვერ წარმოუდგენიათ პარტნიორის გარდა სხვა ადამიანებთან ხანგრძლივი ბედნიერი ურთიერთობა, ღირსეულად უმკლავდებიან ურთიერთობაში წარმოქმნილ პრობლემებს და უბრალოდ მოსწონთ ერთმანეთთან ყოფნა. ავტორი იმასაც გვეუბნება, რომ მსგავსი სიყვარულის ფორმის მიღწევა უფრო ადვილია, ვიდრე შენარჩუნება და აქვე ამატებს, რომ ეს არაა მუდმივი სიყვარულის ფორმა.

საბოლოო ჯამში, როგორც ვნახეთ, სტენბერგი სიყვარულს გარკვეულ მეცნიერულ ჩარჩოებში აქცევს და მის ახსნას ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობს, რამაც შესაძლოა, ჩვეულებრივი მკითხველის უარყოფითი რეაქციები გამოიწვიოს, იქიდან გამომდინარე, რომ უმრავლესობა ჩვენგანს სიყვარული იდუმალ, უზენაეს, საკრალურ მოვლენად მიგვაჩნია, თუმცა, სიყვარულის მსგავს მკაცრ ჩარჩოებში მოქცევას შესაძლოა საკმაოდ სასარგებლო პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს თუნდაც წყვილებს შორის წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და მოგვარების მხრივ.

ერეკლე ჩერქეზიშვილი

„სილქნეტს“ თაღლითობაში ადანაშაულებენ

სატელეკომუნიკაციო კომპანია „სილქნეტს“ თაღლითობაში ადანაშაულებენ. შპს „ბორჯღალის“ დირექტორი ქეთევან თევდორაძე სასამართლოში ჩივის და ამბობს, რომ კომპანიის უპირობის გამო 50 000 ლარი იზარალა. დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში მცხოვრები ქეთევან თევდორაძე 12 წლიანი ემიგრაციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ფინანსური დანაზოგით ბიზნესის წამოწყება სცადა. ერთი წლის წინ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლის გვერდით, 30 წლის წინ დაკეტილი, თითქმის განადგურებული ფართი შეარჩია და აღდგენა დაიწყო. „სილქნეტსა“ და „ბორჯღალს“ შორის იჯარის ხელშეკრულება გასული წლის 19 მარტს გაფორმდა, რის შემდეგაც ქეთევან თევდორაძემ ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, რუსთაველის 53-ში სილქნეტის შენობის პირველი სართული იქირავა.

მას შემდეგ დედა-შვილის თავდადებულმა შრომამ მთელი დედოფლისწყარო აალაპარაკა. ყოფილი ტელეგრაფის ოფისი, რომელიც კომუნისტური წყობის დაშლის შემდეგ უფუნქციოდ და უყურადღებოდ იყო დარჩენილი და დღითიდღე ინგრეოდა, მათ საკუთარი ხელით დაასუფთავეს. ადგილობრივების გაკვირვებას ისიც იწვევდა, რომ ყველა სახის სარემონტო სამუშაოს საკუთარი ხელით ასრულებდნენ, თავად იდგნენ ხარაჩოებზეც, ღესავდნენ, ღებავდნენ და გამვლელ-გამომვლელს აოცებდნენ.

ძველი ფართის აღდგენის შემდეგ სილქნეტმა ხელშეკრულების პირობები დაარღვია. კომპანიაში მოიჯარეს უთხრეს, რომ ამიერიდან ყოველთვიურად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე სამჯერ მეტი უნდა გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აქ „ჯეოსელის“ ოფისის გადმოტანას გეგმავენ და თევდორაძეს ფართის დაცლა მოუწევს.

დაზარალებული უკვე ორი თვეა, ქირას აღარ იხდის და სარემონტო სამუშაოებიც შეაჩერა. იმედგაცრუებული ემიგრანტი ამბობს, რომ საკუთარ რაიონში ბიზნესის წარმოება აღარ სურს. კომპანიას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიც რომ არ დაერღვია და კვლავ ძველ პირობებს დათანხმდნენ, მას აქ მუშაობის სურვილი აღარ აქვს, რადგან ნდობა დაკარგა და შიშობს, რომ შესაძლოა სილქნეტმა ფართის დაცლა ნებისმიერ დროს მოითხოვოს და ამ შენობაში დამატებითი თანხების კიდევ დახარჯვა აღარ ღირს. ახლა, შპს „ბორჯღალის“ ხელმძღვანელი „სილქნეტის“ წინააღმდეგ სარჩელს ამზადებს, რომელსაც სასამართლოში უახლოეს დღეებში შეიტანს. როგორც თავად ამბობს, აუდიტმა სადავო ფართში დანახარჯი უკვე დაითვალა და საერთო ზარალმა 50 000 ლარი შეადგინა. თევდორაძე სილქნეტისგან სწორედ ამ თანხის გადახდას ითხოვს.

ქეთევან თევდორაძე: „რამდენიმე წლის წინ დავტოვე სამშობლო და ემიგრაციაში წავედი. ბოლო წლებში გადავწყვიტე, უკან დავბრუნებულიყავი. იმისათვის, რომ ადგილზე შემოსავლის წყარო მქონოდა, ამავე რაიონში მცირე ბიზნესის წამოწყება დავაპირე. შევარჩიე ადგილი და გასულ წელს იჯარით ავიღე ფართი, რომლის მესაკუთრეც „სილქნეტია“. ჩვენს შორის დაიდო ერთწლიანი ხელშეკრულება, იყო პირობა, რომ თუ პატიოსანი გადამხდელი ვიქნებოდი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად, ყოველწლიურად გაგრძელდებოდა. მათ იცოდნენ, რომ კვების ობიექტის გახსნა მინდოდა. მომცეს ყველაფრის უფლება: მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტის ჩატარების. 10 თვის განმავლობაში პირნათლად ვიხდიდი ყოველთვიურ ქირას 500 ლარის ოდენობით და სარემონტო სამუშაოებსაც ვაწარმოებდი. მოლაპარაკებები პირდაპირ ცენტრალურ ოფისთან, დედაქალაქში მქონდა, ადგილობრივ ფილიალთან ჩემს გეგმებზე არ მისაუბრია. ძალიან ძველი და ამორტიზებული ფართი იყო, ტროტუართან, კედლის ძირში უზარმაზარი ბორდიური იყო, რომლის დანგრევაც ძალზე გართულდა. ბევრი დაბრკოლება იყო, მათ შორის საკანალიზაციო სისტემის ხელახლა გამართვა და მისი დაერთება გართულდა, თუმცა ბევრი წვალების შემდეგ მაინც გავმართე. კარიც გავაუქმე და გზის მხარეს გადავიტანე. ხშირად შავი მუშის მოძებნაც მიჭირდა, ფიზიკურად არ არსებობდნენ ისეთი ხელოსნები, რომლებიც ჩემს დაკვეთას ისე შეასრულებდნენ, როგორც ჩაფიქრებული მქონდა. ამიტომაც, მე და ჩემი ქალიშვილი იძულებული ვიყავით, დრო რომ არ დაგვეკარგა, საკუთარი ხელით გვეკეთებინა შავი საქმეც და სარემონტო სამუშაოებიც. ბევრი რამ არ ვიცოდით, მაგრამ წინა საღამოს ინტერნეტში ვეძებდით მასალებს და მასზე დაყრდნობით ვსწავლობდით, როგორ გაგვეკეთებინა ესა თუ ის საქმე და როგორ მოგვეხერხებინა ამ ყველაფრის საკუთარი ხელით შესრულება. **მინდოდა ჩემს რაიონში რაღაც განსხვავებული და განსაკუთრებული შემექმნა, განსხვავებული დიზაინის და გემოვნების სივრცეს ვქმნიდი.** სამი უზარმაზარი ჭაღი ყატარიდან გამოვიწერე და რამდენიმე თვე ვუცდიდი მის გემით ტრანსპორტირებას, რომელიც შემდეგ აჭარიდან ჩამოვიტანე. მინდოდა საუცხოო გარემო ყოფილიყო. ჭაღები მივიღე, მაგრამ აღარ დავკიდე, რადგან ყველაფერი სადაო გახდა. იმდენად მონდომებული ვიყავი, რომ თურმე ქალის მიერ კედლების შელესვაც და ხარაჩოებზე დგომაც შეესაძლებელი ყოფილა. აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ ამას. 4 მეტრის სიმაღლეზე მე და ჩემი შვილი ვეკიდეთ და ისე ვღებავდით. საკვირველი ის იყო, რომ როცა უკვე ძირითად სამუშაოებს მოვრჩით, ყველაფერი დავასუფთავეთ, აღვადგინეთ და რემონტიც ბოლომდე მივიყვანეთ, მაშინ გამომიცხადეს, რომ უნდა გადამეხადა სამჯერ მეტი ქირა, ვიდრე ეს ხელშეკრულებით მქონდა ნაკისრი. მიზეზად კი ის დასახელდა, რომ ამ პერიოდში „ჯეოსელი“ და „სილქნეტი“ გაერთიანდნენ. მათი თქმით, ჯეოსელის დედოფლისწყაროს ფილიალი დაქირავებულ ფართშია განთავსებული და სურდათ ამ ადგილზე სერვის-ცენტრი გადმოიტანონ, რის გამოც ჩვენი ხელშეკრულება უნდა დაერღვიათ. გასული წლის ნოემბერში მითხრეს, რომ ან გადამიხადეთ ის ქირა, რასაც ჩვენ ჯეოსელის ფართის დასაქირავებლად გიხდით და მათ იქ დავტოვებთ, თქვენ აქ დარჩითო, სხვა შემთხვევაში აქ გადმოვიტანთ და თქვენ წადით აქედანო. გამოდის, რომ უნდა დავთანხმებულიყავი ისეთ კაბალურ პირობებს, რის მიხედვითაც სამმაგის გადახდა მომიწევდა, ვიდრე მანამდე ვიხდიდი. დარღვევების და დაგვიანების გარეშე ვიხდიდი ამ ქირას. მინდოდა, კეთილსინდისიერი პარტნიორი ვყოფილიყავი, რომ კარგად გვემუშავა. ეს ყველაფერი სიტყვიერად მითხრა, მე კი წერილობითი პასუხი მინდოდა. გავგზავნე წერილი, მაგრამ მათგან ოფიციალური, დოკუმენტური პასუხი ამ ყველაფერზე აღარ მოსულა. რაკი წერილობითი პასუხი აღარ იყო, ამიტომ შევწყვიტე გადახდაც და მუშაობაც. სხვათაშორის, თავიდანვე ყველას უკვირდა, როგორ ენდობი, სხვის კუთვნილ შენობაში ასეთი თანამედროვე დონის რემონტს როგორ აკეთებ და ამხელა ფულს ხარჯავო, მაგრამ ***მეგონა, რაკი უზარმაზარი და ცნობილი კომპანია იყო, მათი ნდობა უფრო უნდა მქონოდა. ვფიქრობდი, ამხელა პრესტიჟული კომპანიაა და კარგად ვითანამშრომლებთ მეთქი.*** ახალი პირობები არ მაწყობდა და დეკემბრიდან ქირის გადახდა შევწყვიტე, შესაბამისად გავაჩერე სარეაბილიტაციო სამუშაოებიც და ასე ერთ ადგილზე გაყინულები ვართ. თუკი რამე შეიცვალა, ფიზიკურად ქალების გაკეთებულია, მე და ჩემმა შვილმა დავდეთ ეს შედეგი და დიდი იმედი მაქვს, რომ სიმართლე გაიმარჯვებს. **არ მინდა დავიჯერო, რომ საკუთარ რაიონში დაბრუნებული ემიგრანტი, რომელსაც საქმის კეთება სურდა, ფეხდაჭერილი და გასასრესად განწირული დარჩება.** სულ მქონდა იმედი, რომ „სილქნეტი“ დამიცავდა და სიმართლის მხარეს დადგებოდა, ხელშეკრულებასაც გამიგრძელებდა, როგორც ეს თავიდან იყო დაპირებული. მკაფიო პირობა იყო, რომ კიდევ გაგრძელდებოდა ხელშეკრულება, მაგრამ უსინდისოდ მომატყუეს და ხელშეკრულების პირობები უხეშად დაარღვიეს. შემდეგ გადაუხდელობის გამო ცალმხრივად შეწყვიტეს. ამ ხნის მანძილზე ყველაფერი ვცადე, მაგრამ მოლაპარაკება ვერ შედგა. ვინაიდან მარტის თვეში მაქვს ხელშეკრულება დადებული და ახლა ერთწლიანი ვადა გადის, მაინც გამიუქმებდნენ და აღარანაირი პირობით აღარ გამიგრძელებდნენ და გარეთ გამომიშვებდნენ. ახლა გასაღები ისევ მაქვს, ისევ შევდივარ და ფართს ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ ალბათ მარტის თვიდან კონტროლსაც დავკარგავ. ამიტომ, ჩემს ადვოკატთან ერთად სარჩელს ვამზადებ, რომელსაც უახლოეს დღეებში უკვე სასამართლოში შევიტან. იმედი მაქვს ქართულ რეალობაში სამართალის პოვნას შევძლებ. დანახარჯის ანაზღაურებას ვითხოვ, ***ძველი პირობებით მუშაობის გაგრძელება აღარ მინდა, რადგან არ მჯერა, რომ კეთილსინდისიერი მიდგომა ექნებათ და ადამიანურად თანამშრომლობას შევძლებთ. არ ვარ დაზღვეული იმისგან, რომ თანხები კიდევ დავხარჯო და სტაბილურობის განცდა მქონდეს მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლება გამოგვიშვან შენობიდან.*** ამიტომაც არ ღირს საქმის ბოლომდე მიყვანა და ობიექტზე ყველაფრის შეტანა. რთულია, ამხელა საქმე, სამზარეულო, დარბაზი თანამედროვედ მოაწყო, ყველაფერი გამართო და უცებ დაგაცლევინონ. არ მაქვს გარანტია, რომ ყოველწლიურად „სილქნეტის“ მესვეურებს მადა არ გაეზრდებათ და პერიოდულად სხვადასხვა სიურპრიზებს არ დამახვედრებენ. უკვე გავგზავნე ხარჯთაღრიცხვა, აუდიტის დასკვნა. ფაქტების კონსტატირება მოვახდინე, ანუ ყველა ის მიმოწერა, რაც მხარეებს შორის ინტერნეტით თუ ტელეფონით, მათ შორის არაოფიციალურად არსებობდა, ყველაფერი დოკუმენტურად დავადასტურეთ და საქმეს მტკიცებულების სახით დავურთე. მჯერა, რომ ასე ფაქტებით შებრძოლება შედეგს მოიტანს და ასე მაინც შევძლებ სიმართლე ვიპოვო.“



ევა თევდორაძე: „ჩვენ ფაქტიურად „სილქნეტმა“ საკუთარი ამორტიზებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად გამოგვიყენა. ჩემი აზრით, ეს არის თაღლითობა, რადგან მოტყუებით გაგვაუმჯობესებინა თავისი უძრავი ქონება. ეს როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზარალია. აქ ფულის გარდა ჩადებული იყო ისეთი რამ, რასაც ფინანსურად ვერ აანაზღაურებ. გვქონდა გეგმები, გათვლები და იმედები, რომელიც დედოფლისწყაროში ამ საქმიანობის დაწყებას უკავშირდებოდა. სხვა გზა არ დაგვიტოვეს, ახლა ჩვენ სამართლებრივ დავას ვიწყებთ, რადგან არა მგონია სხვანაირად ეს პრობლემა გადაიჭრას, ადამიანურ მოლაპარაკებებზე ისინი არ მოდიან. „სილქნეტმა“ უნდა აანაზღაუროს ის მატერიალური ზარალი, რაც მისი ნაბიჯების გამო მოგვადგა, რადგან ჩვენი ოჯახისთვის ეს მართლაც ძალიან დიდი ზარალია. ეს თანხა მოპოვებული იყო მრავალი წლის მანძილზე, კაპიკ-კაპიკ, ბევრი ტკივილის, ბევრი ადამიანის განცდების და ემოციის ხარჯზე. დედა წასული იყო წლების განმავლობაში, ოჯახისა და სამშობლოსგან მოწყვეტილი იქ მუშაობდა, გეგმავდა საკუთარი შემოსავლის წყარო და უზრუნველყოფილი მომავალი შეექმნა, იქიდან ჩამოტანილი მცირე დანაზოგი კი „სილქნეტის“ საკუთრებაში აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში ამჟამად ასეა, რომ კომპანია ცდილობს მიითვისოს“.

დაზარალებულის ბრალდებებზე „სილქნეტს“ განმარტების გაკეთება არ სურს, ისინი სულ მცირე კომენტარით შემოიფარგლნენ.

„თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამის განყოფილებასთან გადაიგზავნა, საჭიროების შემთხვევაში „სილქნეტი“ განცხადებას გაავრცელებს,“ – მოგვწერეს „სილქნეტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან.

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც დაზარალებული ქეთევან თევდორაძე დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ საქმეში ჟურნალისტების ჩარევის შემდეგ კომპანიიდან დაურეკეს და თვეობით გაყინული საქმე დაიძრა. კომპანიის წარმომადგენლებს „გაუკვირდათ“, რატომ ჩივის დაზარალებულიო, თუმცა, თევდორაძეს იმედი მიეცა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება და პროცესი დაჩქარდება.

ილია მარტყოფლიშვილი

ახალგაზრდული იდეები აქ დაიბადება

ახალგაზრდობა ერის ის ნაწილია, რომელიც აწყმოსთან ერთად მომავალსაც ქმნის. გარდა ამისა, ის წარმოადგენს საზოგადოების იმ ნაწილსაც, რომელზეც ამავე საზოგადოების იმედებია დამყარებული. ეს იმედები ან მართლდება ან, გარკვეული გარემოებების გამო, ცრუვდება, მაგრამ ყველაზე მთავარი, მაინც ახალგაზრდების განვითარება, თვითრეალიზება და იმ მიზნების სწორად განვითარებაა, რომელიც პირად სარგებელთან ერთად, საზოგადოებასაც მოუტანს სიკეთეს და ცვლილებების განხორციელებასაც დაუდებს სათავეს.

14 თებერვალს ადგილობრივი ხელისუფლებისა და **ENPARD-2**-ის ერთობლივი სოციალური პროექტის (PROCEED) ფარგლებში ქ. დედოფლისწყაროს ცენტრში თანამედროვე, უახლესი მოდელის ინვენტარით აღჭურვილი ოთახი გაიხსნა, სადაც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები სხვადასხვა სახის პროექტების დაგეგმვასა და ორგანიზებას შეძლებენ. ახალგაზრდული ცენტრის მყუდრო და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი გარემო სრულ კომფორტს ქმნის იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა საკუთარი იდეები ცენტრის ხელმძღვანელობას გააცნოს და შემდეგ მათსავე თანატოლებს გაუზიარონ. ღონისძიებებს ახალგაზრდები დაგეგმავენ და თემატიკაც მათივე შერჩეული იქნება, ის რაც აინტერესებთ, აწუხებთ და რაზეც სურთ რომ ისაუბრონ. ახალგაზრდობის ცენტრის საზეიმო გახსნას **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი** ნიკოლოზ ჯანიაშვილი და **საკრებულოს თავმჯდომარე** ნუგზარ პაპიაშვილი დაესწრნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „მართლა ძალიან კარგი იდეა იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი ის რესურსებია, რომელიც, როგორც მოსახლეობამ, ასევე ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გამოიყენოს. უნდა ვეცადოთ, რომ მეტი სიკეთე მივიღოთ ჩვენი მოსახლეობისა და ხალხისთვის. ეს ცენტრი ამის ნათელი მაგალითია. ყბადაღებულია ევროპის თემაც. რად გვინდა ევროპა, დასავლეთი, ისინი შორს არიან, რუსეთი ახლოა და ა.შ. ევროპა შორს არაა. ჩვენგან ორ ნაბიჯშია. ევროკავშირი და ევროპასთან ინტეგრირება ზუსტად ამას ნიშნავს: ხელშეწყობას, განვითარებას, ასეთი პროექტების დაფინანსებას, უვიზოდ ევროპაში მოგზაურობას, განათლების მიღებას, სახელმწიფოს მხრიდან არაერთი პროექტის განხორციელებას, მაგრამ, თუ სახლში დავრჩებით, არაფერი იქნება, თუ ვიშრომებთ, რა თქმა უნდა, ყველაფერი გამოვა. ეს იყო პირველი ნაბიჯები, პირველი მცდელობა და რომ დავინახეთ, შედეგი მოჰყვა, აქედან გამომდინარე, გვქონდა საუბარი, რომ მერიის თანადაფინანსებით დედოფლისწყაროში ერთი ან ორი ღია სპორტული მოედანი გაჩნდეს, სადაც სავარჯიშო ტრენაჟორები იქნება და ეს არამარტო ქ.დედოფლისწყაროში, სოფლებშიც. ხალხს ექნება საშუალება, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესით დაკავდეს. ეს შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ. ამ ცენტრის იდეა ისაა, რომ აქ არსებულმა ხალხმა, ახალგაზრდებმა, პროექტები დაგეგმონ, მოიგონ. უამრავი საშუალება არსებობს, რომ შენი ქალაქისთვის, რაიონისთვის, სოფლისთვის, შენი ოჯახისთვის, შენი ბიზნესისთვის მოიპოვო დაფინანსება. გილოცავთ კიდევ ერთხელ და წარმატებებს ვუსურვებ ამ ცენტრს“.

ცენტრის გახსნას გამოეხმაურა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ პაპიაშვილიც:** „მე, როგორც ყოფილმა პედაგოგმა, ეს ცენტრი დადებითად შემიძლია შევაფასო, რადგან ამას საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს სკოლის გარეთ მუშაობასა და სკოლის შემდეგ ბავშვების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმაში. იმდენად გადამდები იქნება ეს, რომ შეიძლება, ველარც დაეტიონ ბავშვები თუ კარგი ხელმძღვანელობა იქნება, კარგი გეგმა-გრაფიკი იქნება. აქ ადამიანს გგონია, რომ სხვა სამყაროში ხარ. ნამდვილად მისასალმებელია. ყველა დედოფლისწყაროელს ვულოცავ და ვუსურვებ, რომ მრავალი ასეთი პროექტი განეხორციელებინოს“.

ახალგაზრდების, მომავალი თაობისთვის ცენტრის მნიშვნელობასა და მის შინაარსზე ისაუბრა ასევე სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა **აკაკი ნატროშვილმაც:** „გამოცხადდა კონკურსი „ჰექს-ეპერ საქართველო“— სთან ერთად, ევროკავშირის დაფინანსებით, რომელიც ჩვენს რაიონშიც მუშაობს, დედოფლისწყაროს ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან (**LAG**) ერთად. დავწერეთ ასეთი პროექტი, ქალბატონ ლელას ინიციატივით, რომ ახალგაზრდული სივრცე გაგვეკეთებინა. პროექტს თავისი პირობები ჰქონდა, საჭირო იყო თანადაფინანსება. ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობამ დაგვაფინანსა,ყველანაირად გვერდში დაგვიდგა, ხელი შეგვიწყვეს, მორალურადაც და მატერიალურადაც გვერდში ამოგვიდგნენ. ლამაზი კუთხე გამოგვივიდა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მოვლენ და ჩართვის სურვილს გამოთქვამენ. აქ როდესაც იქნებიან, შეიკრიბებიან, იდეები მოუვათ, ზოგს მოიწონებენ, განახორციელებენ, თვითონვე იმუშავებენ. მე მგონია, რომ ცუდი საქმე არ გავაკეთეთ, ნამდვილად წაადგება ახალგაზრდობას. ქუჩაში დგომას ეს სჯობია და დასაქმდებიან. გათვალისწინებულია, რომ ბავშვებს ჩაუტარდეთ სემინარები, ტრენინგები, მოვიწვევთ პედაგოგებს, ფსიქოლოგებს და ეს დაეხმარებათ ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს განვითარებაში“.

პროექტის იდეა **ლელა ბილიაშვილს** ეკუთვნის, რომელმაც გადაწყვიტა ახალგაზრდებს ერთად მუშაობის, იდეების გაზიარების და მათზე მუშაობის საშუალება ერთ სივრცეში მისცეს: „ეს იყო სოციალური პროექტი ახალგაზრდული სივრცის მოწყობა, რომელიც 5500 ევროთი დაფინანსდა. აქედან 10% მუნიციპალიტეტის მერიამ გაიღო, დანარჩენი დააფინანსა **ENPARD-2**—მა, ევროკავშირის ფონდმა. გავაკეთეთ ახალგაზრდული ოთახი, მოვაწყვეთ, აღვჭურვეთ ყველანაირი ტექნიკით. ყველანაირი პიროგა შევქმენით იმისათვის, რომ ახალგაზრდები ქუჩაში კი არ იდგნენ, არამედ მოვიდნენ აქ საკუთარი იდეებით. აქამდე მათ დაგეგმილ ღონისძიებებს ვთავაზობდით. რამდენი ორგანიზაციაა დედოფლისწყაროში, რომელიც ახალგაზრდობისთვის მუშაობს, თუნდაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი. ყველა ეს ორგანიზაცია ბავშვებს სთავაზობს მზა ღონისძიებებს, ბავშვებს იქნებ ეს სულაც არ სჭირდებათ. ბავშვებს უფრო სხვა სახის ღონისძიებები უნდათ. ბულინგის პრობლემაა სკოლაში, სიგარეტის, ალკოჰოლის პრობლემა, ვფიქრობ, ბავშვებს სხვა კუთხით უნდათ მიდგომა. ჩვენს ცენტრში ყველა პირობა იქნება შექმნილი. ჩატარდება ტრენინგები, ჩატარდება ფსიქოლოგებთან საუბრები იმ თემაზე, რა თემაზეც ბავშვებს უნდათ. ჩვენ თებერვლის თვეში დაგეგმილი გვაქვს, რომ შევქმნათ უფროსკლასელთა ლიგა, რომელიც მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის უფროსკლასელის გაწევრიანებას გულისხმობს. უფრო აქტიური და სხვადასხვა იდეებით დატვირთული ახალგაზრდები, რომლებიც დანიშნავენ თვეში ერთ დღეს, შეხვდებიან აქ ერთმანეთს, ყველა თავის პრობლემას, გულისტკივილს, სურვილს თუ იდეას გამოთქვამს, იკამათებენ, რაღაც ჭეშმარიტებამდე მივლენ,დაგეგმავენ, გადაწყვეტენ, ახალს მოიფიქრებენ. ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა ერთ საქმეში იქნება ჩართული. ეს ხელს შეუწყობს მათ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში უფრო რეალიზებულები გახდნენ“.

ENPARD-2-ის, სოციალური პროექტის (PROCEED) წარმომადგენელებმა, **ლაშა აბაშიძემ და კობა ალულიშვილმა** აღნიშნეს, რომ მოსახლეობის ჩართულობით შესაძლებელია, თუნდაც, პატარა ან დიდი საქმეების გაკეთება. მათ აღნიშნეს, რომ მთავარია, მოსახლეობის აქტიურობა, მათი დაინტერესება და ადგილზე მისვლა. ისინი მზად არიან გაგესაუბრნონ, დაგაკვალიანონ. მათ ვინც არ ესწრებოდა (ან ესწრებოდა) მათს საინფორმაციო შეხვედრებს, სამოქმედო ჯგუფისგან ექნებათ მხარდაჭერა, რომ დასახონ ბიზნეს გეგმა, დაწერონ პროექტები.

ახალგაზრდული სახლი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე შეიქმნა. დაწესებულებაში აქტივობის განხორციელება მუნიციპალიტეტის 15-დან 29 წლამდე ასაკის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. ამ დღისთვის ცენტრში დედოფლისწყაროს ახალგაზრდების მიერ გადაღებული ფოტოებიც გამოიფინა, რომლებიც მუნიციპალიტეტსა და მის ცხოვრებას ასახავს. ცენტრის გახსნას კულტურის, სპორტისა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოებამ მიულოცა ახალგარდულ ცენტრს გახსნა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ვალენტინობის კომერციული მარათონი

„ჩვენ ყველაზე ცოცხლები მაშინ ვართ, როდესაც გვიყვარს“.

„განსაკუთრებული საჩუქარი განსაკუთრებული ადამიანისთვის“...

„13—14 თებერვალს შეიძინე ჩვენი პროდუქცია და მოიგე გათამაშების ბილეთი“...

„შეარჩიე ჩვენთან საჩუქარი და გაუზიარე სიყვარული“...

„დახარჯე 200 ლარი და იპოვნე დამატებით ჯადოსნური საჩუქარი მაგიურ ყუთში“...

რამდენი თქვენგანი შეხვედრია ასეთ შემოთავაზებებს 14 თებერვალს?! რამდენი თქვენგანის მობილური ტელეფონი ავსებულა მსგავსი შეტყობინებებით? რამდენი თქვენგანი დათანხმებულა და რამდენი თქვენგანს უპოვნია ჯადოსნური საჩუქარი მაგიურ ყუთში, რომელიც რეალურად 200 ლარი დასჯდომია?! დიახ, 14 თებერვალს, სიყვარულის საერთაშორისო დღეს, მთელი მსოფლიო სწორედ საჩუქრების, ყვავილების, ტკბილეულის ყიდვის და ზოგადად, კომერციულ მარათონშია ჩაბმული.

ვალენტინობას თითქმის ერთნაირად აღნიშნავენ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, მაგრამ ყველაზე დიდი საერთო მაინც ამ დღის კომერციული ხასიათია. ვალენტინობის დღესასწაულის არსებობა ბევრ ქვეყანაში (განსაკუთრები აზიის ქვეყნებში), სწორედ კომერციული ხასიათით გამართლდა. არ იქნება გასაკვირი თუ ვიტყვით, რომ ამ დღეს დიდი რაოდენობით იყიდება ყვავილები, ტკბილეული და ვალენტინობის მისალოცი ბარათები. გაყიდული მისალოცი ბარათების რიცხვი, რომლის რაოდენობაც ყოველწლიურად იცვლება, დაახლოებით 180 მილიონია, ხოლო ვარდების წარმოების რაოდენობა კი 200 მილიონამდე აღწევს. ამერიკელები ამ დღეს დაახლოებით 19,7 მილიონ დოლარს ხარჯავენ საჩუქრებში.

ამ რიცხვების ზრდასთან ერთად, დროთა განმავლობაში, იზრდება იმ ადამიანების რიცხვიც, ვისთვისაც ვალენტინობას დაეკარგა რომანტიკული მხარე და ის ერთ დიდ კომერციად იქცა. ვალენტინობის დღე, შობისა და ახალი წლის შემდეგ, წლის ყველაზე მომგებიანი მომენტია. გიყვართ თუ არ გიყვართ, ამ დღეს თქვენი გარეთ გამოსვლა აუცილებლად დასრულდება რაიმე ვარდისფერი ან წითელი ნივთის შეძენით, რომელიც იმ დღეს სუპერმარკეტში პოპულარული იქნება — დაწყებული შოკოლადის ფილებით, ყვავილებითა და სათამაშოებით დამთავრებული. ამ დღეს „უსაფრთხოდ“ არავინაა.

ვალენტინობის დღესთან დაკავშირებული ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ის გვაიძულებს, ყურადღება ურთიერთობების მატერიალურ ასპექტზე გავამახვილოთ, ვიდრე ჩვენი სიყვარულის ნამდვილობაზე ერთმანეთის მიმართ. მაგრამ აუცილებელია, რომ სამართლიანები ვიყოთ: ეკონომიკური ინდუსტრია კოლაფსს განიცდის, თუკი ზოგიერთი რამ კომერციალიზებული არ იქნა. თავისთავად ცხადია, რომ კომერციალიზება არ არის ბოროტება, მაგრამ სიყვარულის დღესასწაულის რომ დაიჯერო, ეს ყველაფერი თვითნებურად უნდა უარყო. თავისთავად ცხადია, რომ ეს არ ნიშნავს თავისუფალი ბაზრის მიმართ მასიურ წინააღმდეგობას. მაგრამ აუცილებელია ვიფიქროთ, იმაზე თუ რას ვაკეთებთ, რისთვის ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ? სად ვხარჯავთ ფულს? უნდა დაუსვათ კითხვა საკუთარ თავს: იმიტომ ვხარჯავთ ფულს ამ დღეს, რომ ვიღაც გვიყვარს თუ იმიტომ, რომ ამას ყველა აკეთებს და ესაა საუკეთესო გზა აჩვენო შენი სიყვარული შენს მეორე ნახევარს?

მხოლოდ ოკეანის გაღმა გამოცდილებას რომ არ დავეყრდნოთ, გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა ადგილობრივ მაღაზიებსა თუ ბაზარში, იმატებს თუ არა გაყიდვების რაოდენობა, რა იყიდება ყველაზე მეტად, ვინ ყიდულობს და ა.შ. თითოეულ მაღაზიაში განსხვავებული მდგომარეობა გვხვდება. გამყიდველების უმეტესობა საუბარში აღნიშნავს, რომ განსხვავება ვალენტინობის დღესა და სხვა სავაჭრო დღეებს შორის არც ისე დიდია. მცირედით შეინიშნება მოსახლეობის აქტიურობა, მაგრამ არა იმდენად, რომ ის მნიშვნელოვნად აისახოს მაღაზიის შემოსავლის ზრდაზე. მოთხოვნის შემთხვევაში, მეტი აქცენტი მაინც სუნამოზე, სამკაულზე და სხვადასხვა სუვენირზე კეთდება. ყვავილებზეც იგივე მდგომარეობაა. გამყიდველი გვეუბნება, რომ მოთხოვნა უმნიშვნელოა, მიუხედავად იმისა, რომ მის დახლზე ყვავილების ფართო არჩევანს ვხედავთ. კითხვაზე, ვინ უფრო მეტად აქტიურობს სიყვარულის დღეს, ქალი თუ მამაკაცი, პასუხად ქალბატონებს ვიღებთ. კომერციულ მარათონში ჩაბმული სასაჩუქრე თუ შერეული ტიპის მაღაზიები, გამოკვეთენ ზოგად პრობლემას, რომელიც მოსახლეობაში ახალგაზრდების წილის შემცირებას ეხება. ისინი აღნიშნავენ, რომ მოთხოვნა წინა წლებში უფრო მეტი იყო. ამ დღეს მყიდველის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად კი სწორედ ახალგაზრდების დედაქალაქში და საზღვარგარეთ წასვლას ასახელებენ, რომლებიც რეალურად სიყვარულის აღნიშვნის მარათონში უნდა ერთვებოდნენ.

ვალენტინობის დღე სიყვარულისა და კომერციალიზმის ნაზავია, ის აღარ არის მხოლოდ დღე ისტორიიდან, ის გახდა „იდეალურად მატერიალიზებული დღე“ სიყვარულის გამოხატვისთვის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

შრომის და ღვაწლის დაფასება

2018 წელი იუნესკოს ეგიდით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წლად იყო გამოცხადებული. ამ თარიღის აღსანიშნავად გაზეთ „საქართველოს ლიკის“ რედაქციის და საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ მიერ, გამოკითხვის შედეგად, გამოვლინდნენ 2018 წლის წარმატებული ადამიანები და შპს-ები საქართველოს მასშტაბით.

საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარი“, რომლის კარიც ყველა ასაკის ადამიანისათვის არის ღია, თავის რიგებში ანვრიანებს მოზარდებს, ახალგაზრდებს, ზრდასრულ და ასაკოვან ადამიანებს – მეცნიერებს, ხელოვნების, განათლების, კულტურის, მედიცინის და სხვა დარგის მუშაკებს. მათ შორის მრავლად არიან

იძულებით გადაადგილებულნი და სოციალურად დაუცველნი. საზოგადოების ფინანსებს შეადგენს შემოწირულობები, სანევრო ანარიცხები. აგრეთვე აქვთ საქველმოქმედო სატელეფონო ნომერი-0901700334, რომელზეც შეუძლია დარეკოს ყველა მოქალაქემ ნებისმიერი ოპერტორის - მაგთის, ჯეოსელის თუ ბილაინის მომხმარებელმა. განხოციელებული ზარით საზოგადოების ანგარიშზე ჩაირიცხება 1 ლარი. ამ თანხებს „ამაგდარი“ თავისი წევრების კეთილდღეობას, საზოგადოებასან მათ ინტეგრირებას, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს ახმარს. აწყობს შეხვედრებს, ორგანიზებას უკეთებს მათ კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ დასწრებას სპექტკლზე სხვადასხვა თეატრში, ოპერასა თუ ბალეტზე, კონცერტებზე, ფესტივალებზე. მიჰყავს ისინი ექკურსიებზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოსანახულებლად. „ამაგდარს“ აქვს თავისი პერიოდული გამოცემა გაზეთი „ამაგდარი“, სადაც არაერთ საინტერესო სტატიასთან ერთად, ხშირად შეხვდებით სამადლობელო წერილს საზოგადოების თავმჯდომარის აკადემიკოს ვახტანგ ქიზიყურაშვილის, ასევე კოორდინატორის, ქალბატონ ნელი ჯანელიძისადმი. საზოგადოების საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა, გამოავლინოს და დააჯილდოვოს წარმატებული ადამიანები და ორგანიზაციები სხვადასხვა სფეროში, წარმოაჩინოს ისინი საზოგადოებაში და ამით სტიმული მისცეს დანარჩენებს თავიანთ საქმიანობაში. „ამაგდარის“ ყურდღების არეალში არიან როგორც ახალგაზრდები, ასევე ღვაწლმოსილი ადამიანები. **სწორედ ერთ-ერთი ასეთი დაჯილდოვება შედგა 7 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის უმშვენიერეს სვეტებიან დარბაზში, რომელსაც დიპლომები და სიგელები გადაეცათ 2018 წლის წარმატებულ ადამიანებს და შპს-ებს.**

რადგან ღონისძიება უნივერსიტეტის 100 წლისთავს ეძღვნებოდა, ის სწორედ საიუბილეო წლის ბოლო დღეს – 7 თებერვალს გაიმართა. 8 თებერვლიდან უნივერსიტეტის ასმეერთე წელი დაიწყო. დაჯილდოვებულთა შორის დიდი უმრავლესობა სწორედ უნივერსიტეტდამთავრებული გახლდათ. **ღონისძიებას ჩვეული ხიბლით უძღვებოდა ჩვენი თანამემამულე, პოეტი მარინე ცხვედიაშვილი, ხოლო ჯილდოები პირადად „ამაგდარის“ პრეზიდენტმა ვახტანგ ქიზიყურაშვილმა გადასცა.**

ნომინაციაში **„წლის ადამიანი“** დაჯილდოვდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი, ბაირონისა და გალაქტიონის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი, ასზე მეტი პუბლიკაციის, ათი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი **ინესა მერაბიშვილი,** შესანიშნავი დედა და ბებია, რომელიც ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი ხალხი, შენი ქვეყანა და როგორ უნდა ცდილობდე, მისი სახელის მსოფლიოსთვის წარდგენას, მისი ავტორიტეტის ამაღლებას.

დედაქალაქის საზოგადოება კარგად იცნობს ქალბატონ **მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძეს,** დიდი ქართველი საოპერო მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის მეუღლეს, რომელიც სათუთად უფრთხილდება საყვარელი მეუღლის ხსოვნას და წარმატებით ხელმძღვანელობს მის ფონდს, რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს ქართული საოპერო ხელოვნების აღორძინების და წინსვლის საქმეში, მეურვეობს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ და პერსპექტიულ ახალგაზრდებს.

ეს საპატიო ტიტული მიენიჭა თვით ღონისძიების წამყვანს, მარინე ცხვედიაშვილს, ცნობილ პოეტს, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატს, ჯუხალაშვილების შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული დიდი ოჯახის დედაბოძს, ქალბატონს, რომელიც წარმატებით უძღვება საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავის რეგიონულ ორგანიზაციას და ხელს უწყობს რეგიონში მცხოვრებ შემოქმედებით ადამიანებს თავის წარმოჩენასა და შემდგომი სტიმულირებისათვის.

კიდევ ერთ პოეტსა და პუბლიცისტს **ნანი საბანაძეს** ერგო „წლის ადამიანის“ საპატიო ტიტული, რომლის შემოქმედებით არსენალში არაერთი პოეტური კრებული და საინტერესო პუბლიკაციაა. შემოქმედებითი შთგონებით და ენერგიით სავსე ქალბატონის სამომავლო გეგმებიც ისეთივე ფაქიზი და სულიერბით სავსეა, როგორც მისი ლირიკა.

„წლის ადამიანად“ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „საქართველოს ლირიკის“ რედაქციების წარდგინებით დასახელდა, აგრეთვე, ჩვენი თანამემამულე **ნანა ჭიჭინაძე,** რომელიც არ იშურებს ძალას და ენერგიას, ხშირად საზოგადოებრივ საწყისზე, ენთუზიაზმით აკეთოს ბევრი სასიკეთო და საინტერესო საქმე, გაუწიოს პოპულარიზაცია ეროვნულ ტრადიციებს, წეროს სტატიები რაიონის ცხოვრებაზე, აქ მიმდინარე მოვლენებზე და გააცნოს ის სრულიად საქართველოს რესპუბლიკური პრესის საშუალებით, მოაწყოს შეხვედრები და სხვა ღონისძიებები.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ის პედაგოგის საპატიო მოვალეობას ემსახურა. მის ხელში მრავალმა თაობამ გაიარა და სწორედ ნანული მასწავლებლისგან გაჰყვა თითოეულ მათგანს საგზლად პატრიოტიზმის გრძნობა და ჩვენი ქვეყნის დიდი ისტორიის ცოდნა - აღმავლობის თუ დაცემის მიზეზები და შედეგები, ქვეყნისთვის თავდადებულთა და მოღალატეთა სახელები და სახეები. ის ასწავლიდა არა მხოლოდ ისტორიას, არამედ უღვიძებდა მათ სიკეთის, შრომისმოყვარეობის და ურთიერთსიყვარულის გრძნობას. იყო მასწავლებელიც და საიმედო მეგობარიც მათთვის. ამიტომ უყვართ და აფასებენ მას. დღეს **ნანული ნატროშვილი** დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტია, არის 3 შვილის დედა და ოთხი შვილიშვილის ბებია და არ სცხვენია უკან მიხედვის, რადგან ღირსეულად განვლო თავისი ცხოვრების გზა. ამიტომაც დაასახელეს „წლის ადამიანად“ დედოფლისწყაროელებმა.

იყო ოჯახის დედა და, იმავდროულად, უძღვებოდე საწარმოს, არ არის ადვილი საქმე, მაგრამ ხომ გაგიგიათ, „ქალმა თუ გაიწიაო“, ჰოდა, საზღვარი არა აქვს ქალის შესაძლებლობებს, სადაც იღვიძებს სურვილი, ეკონომიურად გააძლიერო შენი ოჯახი და, შესაბამისად, შენი ქვეყანაც. ასეთ ქალთა რიცხვს ეკუთვნიან დედოფლისწყაროში რძის გადამამუშავებელი საამქროს მფლობელი **თამარ მოძღვრიშვილი-მოდებაძე** და ხორცის და რძის მწარმოებელი ფირმის ხელმძღვანელი **ლია ოზაშვილი-ქურხულიშვილი.**

ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს გარიჟრაჟზე ჩაეყარა საფუძველი მოდებაძეების რძის მწარმოებელ საამქროს. ცოლ-ქმარმა, თამარ და ზეინალ მოდებაძეებმა უზარმაზარი შრომა ჩადეს ამ საწარმოს მშენებლობაში, მის აღჭურვაში, გამართულ მუშაობაში და იმ აღიარების მოპოვებაში, რასაც ნატურალური პროდუქტის წარმოება ითვალისწინებს. დღეს ამ საამქროს პროდუქცია (კარაქი, სულგუნი, ხაჭო, ნადუღი) ცნობილია არა მარტო დედოფლისწყაროელებისთვის, არამედ დედაქალაქის მოსახლეობისთვისაც, სადაც რამოდენიმე მაღაზიაში მოდებაძეების პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა. მას ენდობიან, როგორც ჯანსაღი კვების პროდუქტს თავისი ხარისხით და ეკოლოგიური ეტიკეტით. წარმატებული იყო 2018 წელიც საამქროსთვის. ამ ნიშნით შეირჩა „წლის ადამიანის“ ტიტულისთვის ქალბატონი თამარ მოძვრიშვილი, რომელიც მისაბაძია არა მხოლოდ როგორც მეწარმე, არამედ, როგორც დედა ორი შესანიშნავი ვაჟკაცისა და ბებია 9 შვილიშვილისა, რომლებიც გამოირჩევიან საუკეთესო სწავლით, შრომისმოყვარეობით და ჩვენი ქვეყნის საიმედო მომავალს წარმოადგენენ.

ლია ოზაშვილი - ქურხულიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. მან ვაჭრობის ეკონომიკის და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთვრა. უკვე რამდენი წელია, ინდმეწარმედ დარეგისტრირდა და მის საქმიანობას, მეუღლესთან, ტარიელ ქურხულიშვილთან ერთად, ხორცისა და რძის პირველადი წარმოება შეადგენს. ისინი ცდილობენ, დანერგონ თავიანთ საქმიანობაში ახალი ტექნოლოგიები, გააუმჯობესონ ჯიშები. ქალბატონი ლია სისტემატურად იმაღლებს ცოდნის დონეს ამ დარგში და ხშირად ესწრება ტრენინგებს მესაქონლეობის თუ რძის ხარისხის თვალსაზრისით როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. 2017 წელს გამოცდილების გაზიარების მიზნით ის მიწვეული იყო ესტონეთში, მსხვილფეხა საქონლის კვების ტექნოლოგიის კუთხით. 2018 წელს კი მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებდა მესაქონლეობის გენეტიკურ გაუმჯობესებას. ქალბატონმა ლიამ, „წლის ადამიანის“ დიპლომის გადაცემის ცერემონიალზე სამადლობელ სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა თავის საქმიანობაზე და ისურვა, რომ ახალგაზრდობა უფრო მეტად დაინტერესდეს მესაქონლეობით, რადგან ეს არის დარგი, რომელიც სულ მუდამ სჭირდება ქვეყანას და მის ეკონომიკას. ის ქალ-ვაჟის დედაა და ბებიაობისთვის ემზადება.

„წლის ადამიანებთან“ ერთად გამოვლინდნენ წარმატებული შპს-ები, რომელთა შორის დედოფლისწყაროელებმა **შპს „სპექტრი“ (დირექტორი ნუნუ ცაკაშვილი)** და **შპს გაზეთი „შირაქი“ (დირექტორი ინგა შიოლაშვილი, რედაქტორი ნაირა გორაშვილი)** გამოარჩიეს.

შპს „სპექტრი“ ქალბატონმა ნუნუმ ათითორმეტი წლის წინ დააარსა და მიზნად დაისახა, დედოფლისწყაროელი მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისთვის მიეცა მყარი საბაზისო ცოდნა. მიზანი რეალობად აქცია, „სპექტრგამოვლილი“ აბიტურიენტების 80-90 პროცენტი უმაღლესი ქულებით ირიცხება სასურველ სპეციალობაზე, მოიპოვებენ სახელმწიფო დაფინანსებას და წარმატებულ სამეცნიერო მუშაობას ეწევიან. ისე რომ, დედოფლისწყაროში „სპექტრელობა“ წარმატების გარანტიაა. ქალბატონმა ნუნუმ ნარჩინებით დაამთავრა სოფელ ჯაფარიძის (დღევანდელი სამრეკლოს) საშუალო სკოლა და უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას უნივერსიტეტში, შემდეგ რაიონს დაუბრუნდა, ოჯახი შექმნა ელიზბარ იმერლიშვილთან, ჰყავს ორი წარმატებული ვაჟი, შვილიშვილები. იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და მრავალი ინიციატივის ავტორი.

უკვე 81 წელია, რაც გაზეთი „შირაქი“ უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებს. ის რაიონის ცხოვრების მემატიანეა და 1937 წლიდან დრემდე ერთგულად ემსახურება ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. რედაქციის მთელი კოლექტივის, დირექტორის ინგა შიოლაშვილის და რედაქტორის ნაირა გორაშვილის დამსახურებაა, რომ დღეს რვაგვერდიანი, ფერადი გაზეთის საშუალებით მოსახლეობას მიეწოდება მუნიციპალიტეტის ცხოვრების ამსახველი ყველა ინფორმაცია. სწორედ ამიტომ დაასახელეს დედოფლისწყაროელებმა შპს გაზეთი „შირაქი“ წლის წარმატებულ ორგანიზაციად.

ღონისძიების სიურპრიზი იყო, როდესაც თვით „ამაგდარის“ პრეზიდენტის ვახტანგ ქიზიყურაშვილის ინიციატივით ორი იუბილარი **ნაირა გორაშვილი** და **ნაზი ხანიაშვილი** – მეცნიერი, საქართველოს და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი, რომლის პუბლიკაციები სისტემატურად იბეჭდება ცნობილ ჟურნალ-გაზეთებში, დაჯილდოვდა დიპლომით **„ქალის ეტალონი“**. ქალბატონი ნაზის გამოკვლევებსა და შრომებზე საინტერესოდ ისაუბრა პოეტმა ნანი საბანაძემ.

დაჯილდოებულთა პატივსაცემად გაიმართა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, რომლის პროგრამა შოპენის შემოქმედებით იყო გაჯერებული, რადგან მიმდინარე წელი მსოფლიო მასშტაბით შოპენის წლად არის გამოცხადებული. კონცერტზე თავის საშემსრულებლო ხელოვნება წარმოაჩინეს კონცერტმაისტერებმა **ნანა გელაძემ,** თბილისის კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორმა **ნათია ქავთარაძემ** და მისმა წარჩინებულმა სტუდენტებმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა **მარიამ სარჯველაძემ** და **სანდრო შუბითიძემ,** კონსერვატორიის წარჩინებულმა სტუდენტმა **ედიშერ რუსიშვილის** კლასიდან **ელენე შავერზაშვილმა,** კონცერტმაისტერ **თამარ ლომიასთან** ერთად ვერდის ოპერა სიმონ ბოკანეგრა დოჟის არია ლაჩერატო სპირატო შეასრულა დავით ამირანაშვილის მოსწავლემ **ბესიკ კვიციანმა.** სპეცალური სტუმრის სტატუსით კონცერტზე მოწვეული იყვნენ სანკტ-პეტერბურგის და თბილისის კონსერვატორიების კონცერტმაისტერი **ვიქტორია ჩეპლინსკაია** და **მევიოლინე ქეთინო თავშავიძე,** რომლებმაც შეასრულეს ქართველთა და ამერიკელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

შეხვედრას ესწრებოდნენ და დაჯილდოვებულებს მიესალმებდნენ: მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე **თემურ ჩალაბაშვილი,** კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე **გოგი შავერზაშვილი,** სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მხატვარი **ჯემალ კუხალაშვილი,** პოეტები **ჯუბა ღებელი** და **რეზო ადამია.**

დიდი მადლობა ჩვენს თანამემამულეებს **მზია სეხნიაშვილს** და **ტარიელ ნატროშვილს** სპონსორობისა და მხარდაჭერისთვის.

ნინო მოსულიშვილი

როგორ მივაღწიოთ წარმატებულ სიბერემდე...

ცხოვრების ცხრა ათეულს რომ გადააბიჯებ, აუცილებლად უნდა გახსოვდეს, რომ ეს მოგზაურობა საკმაოდ ხანგრძლივია, რომელსაც ბევრ სიხარულთან ერთად უამრავი იმედგაცრუება ახლავს თან.

– სიბერე ცხოვრების ბოლო ეტაპია, ეტაპი, როდესაც შენს ცხოვრებას სულ სხვა თვალით უწყებ ყურებას. აფასებ განვლილ წლებს და მოგონებების ზღვაში იძირები. სიბერე დიდი საჩუქარია. მიუხედავათ იმისა, რომ ჯანმრთელობა ნელ-ნელა უარესდება, მას მაინც აქვს თავისი ხიბლი, თავისი დადებითი მხარეები. ჰერმან ჰესე ამბობდა: „იყო მოხუცი – ისეთივე შესანიშნავი და აუცილებელი ამოცანაა, როგორც იყო ახალგაზრდა, ისწავლო, კვდებოდე და სიკვდილი ისეთივე საპატიო ფუნქციაა, როგორც სხვა ნებისმიერი, – იმ პირობით, თუ ეს სრულდება ყოველგვარი სიცოცხლის აზრისა და სიწმინდის წინაშე მოწიწებით და კრძალვით“. ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომელსაც ვერსად გავექცევით. რა არის ცუდი იმაში, როდესაც ჭაღარა შერეული, სახლში ბუხართან ზიხარ, შვილიშვილებს შენი ცხოვრების ისტორიებს უყვები და შენი გამოცდილების ხარჯზე რჩევებს აძლევ მათ. ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი 90 წელს გადაცილებული ქალბატონია, რომელსაც ყოველ დილით სახლიდან სამსახურში მიმავალი ვხედავ აივანზე სიძეს მხიარულად ნარდს რომ ეთამაშება, თან ძველ ამბებს უყვება, მერე უცებ წამოდგება, რომ სამზარეულოში სადილმა არ მიიწვას, რადგანაც დღემდე მისი დიდი ოჯახი მის მომზადებულ კერძებს მიირთმევს. მართალია, ჩვენმა რესპოდენტმა არ ისურვა ფოტო გადამეღო მისთვის, რადგან, მიიჩნევს, რომ ასაკი ძალიან ეტყობა, მაგრამ, მკითხველს ვეტყვი, რომ 92 წლის ასაკში ადამიანი ასე მხნედ, სიმპატიურად, აბსოლუტური საღი გონებით და საოჯახო პასუხისმგებლობით სავსე ხვდებოდეს, იშვიათი შემთხვევაა...

ბიოგრაფიული ცნობები: ანა მიხეილის ასული ნიკიგოსოვ-სონლულაშვილი დაიბადა ქ. წითელწყაროში 1927 წლის 23 აგვისტოს, დიასახლისისა და მენავთის ოთხშვილიან ოჯახში. მშობლებს უნდოდათ, რომ შვილებს რუსული ენა კარგად სცოდნოდათ (მაშინ ასე იყო მიღებული) და რუსული საშუალო სკოლა დაამთავრებინეს მათ. 1950 წელს, სარკინიგზო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო წითელწყაროს რკინიგზის სადგურში კადრების უფროსის მოადგილედ და 42 წელი მუშაობდა. უამრავი ჯილდო და მადლობა აქვს მიღებული. 1958 წელს სიყვარულით შექმნა ოჯახი რკინიგზელ მემანქანესთან შალვა სონლულაშვილთან. ჰყავს ორი შვილი-მარინა და ლალი, 4 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი.

-ანიკო ბებია, რას მიიჩნევთ განვლილი ცხოვრების მთავარ მოვლენად?

-ცხოვრების მთავარ მოვლენად მიმაჩნია, როცა ჩემი ორი საყვარელი შვილი მოევლინა ამ ქვეყანას, მათი შვილები და შვილიშვილები.

-რამდენად რთული თუ ადვილი იყო განვლილი ცხოვრება?

-განვლილი ცხოვრება სულ წვალებაში გავატარეთ მე და ჩემმა მეუღლემ. ჯერ სახლის აშენება, მერე შვილების გზაზე დაყენება, მაგრამ როგორც ამ გადმოსახედიდან ვუყურებ ამ ყველაფერს, ადრე უფრო ადვილი და ხელმისაწვდომი იყო ამ ყველაფრის გაკეთება, ვიდრე დღეს.

-თქვენი აზრით, რა არის ადამიანის წარმატების საიდუმლო?

-წარმატების საიდუმლოა, არ იყო ზარმაცი, იყო კეთილი და არავისი გმურდეს, მხოლოდ გიხაროდეს სხვისი სიკეთე და კარგი ამბები, არ იყო მხოლოდ ფინანსურ კეთილდღეობაზე მომართული, არამედ შვილების და შვილიშვილების წინსვლა და წარმატებები გახარებდეს.

-ცხოვრების ყველაზე ძვირფასი ადამიანები...

-ცხოვრებაში ბევრი ძვირფასი ადამიანი მყავდა და მყავს: მშობლები, დედმამიშვილები, მეუღლე, ჩემი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. ღმერთმა დიდხანს და კარგად მიმყოფოს ყველა. ჩემი საყვარელი ადამიანები არიან ჩემი მეზობლები, ყოფილი თანამშრომლები, რომლებსაც ადამიანი ასაკში რომ შედის, მერე უფრო აფასებს იმ განვლილ გზასთან ერთად.

-რა პარალელს გაავლებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე-წარსულსა და აწმყოში, რა იყო კარგი, რაც დღეს არ მოგწონთ, ან პირიქით, რა არ მოგწონდათ და დღეს უკვე მისაღებია თქვენთვის?

-არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ადრე მეტი პატივისცემა და სიყვარული იყო, მეტი ურთიერთგაგება. ახლა ტელევიზორს ჩავრთავ და სულ ნეგატიური ინფორმაციით იწყება, ხალხმა დაკარგა ურთიერთპატივისცემა, დაუნდობლები გახდნენ, ბავშვები ზამთარში ციგაობდნენ, ზაფხულის არდადეგებზე დაღამებამდე გარეთ თამაშობდნენ, ახლა ყველა ტელეფონზე და კომპიუტერზეა მიჯაჭვული, გაქრა სოციალური აქტივობები. ქუჩებში სულ ბავშვების ჟრიამული ისმოდა, ახლა ერთ ბავშვს ვეღარ ნახავ გარეთ, მათი ბავშვობაც განსხვავებული და სილაღეს მოკლებულია, ასე მგონია. ყოველ საღამოს მოვუსხდებოდით ოჯახის წევრები და მიდიოდა ნარდის და კარტის თამაში, დამარცხებულს მურს ვუსვამდით შუბლზე, მეტი ხალისი და მხიარულება იყო, შესაბამისად ნაკლები ბოღმა და მტრობა...მგონია, რომ ბევრად უკეთესი იყო ამ მხრივ წარსული ცხოვრება...

და ბოლოს, რას გვირჩევთ, რა არის ქალის ცხოვრების ჯანმრთელობის და ტკბილ სიბერემდე მიღწევის საიდუმლო?

- ქალის ცხოვრების ჯანმრთელობის და ტკბილი სიბერის საიდუმლო სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ გყავდეს კარგი შვილები და შვილიშვილები, იყო ხალისიანი და დაბრკოლებებზე ხელი არასდროს ჩაიქნიო, არამედ იბრძოლო სასურველ შედეგებამდე. არ იწუწუნოთ არაფერზე, თქვენი ხასიათის ნაკლოვანებებს სხვას ნუ დაანახვებთ, როცა გიჭირთ, სთხოვეთ ახლობელს მხარში ამოგიდგეთ და გაგამხნევოთ, შესაბამისად, ეცადეთ, თქვენც დაეხმაროთ სხვებს რაც შეიძლება ხშირად და ამ დროს ჯანმრთელობაც აუცილებლად შეგიწყობთ ხელს.

დიდი მადლობა ყველას, რომ მეწვიეთ და ჩემთან გასაუბრება მოინდომეთ, მიყვარს თქვენი გაზეთი და ყოველ ორშაბათს მოუთმენლად ველოდები-ხოლმე, გილოცავთ გაზეთის საიუბილეო თარიღს-80 წლისთავს!

- მადლობა თქვენ, ანიკო ბებია, ერთგულებისთვის, გისურვებთ დღეგრძელობას და კვლავ მრავალ ორშაბათს გაზეთის მოლოდინში.

ელზა ხარაშვილი

დავითობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

8 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ქართველთა გმირი მეფის დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება „დავითობა – 2019“. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. დედოფლისწყაროს №1, №2, ხორნაბუჯის საჯარო სკოლების და საპატრიარქოს წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის სკოლის მოსწავლეებმა. სკოლებს მოსამზადებლად სხვადასხვა თემა ჰქონდათ მიცემული. №1 საჯარო სკოლას – „დავით აღმაშენებლის ბიოგრაფია“, №2 საჯარო სკოლას – „მეფე და სიყვარული“, ხორნაბუჯის საჯარო სკოლას - „მეფე რაინდი“ – სახელოვანი ომების ისტორია, საპატრიარქოს სკოლას – მეფის სასულიერო ცხოვრება. მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემები დავით აღმაშენებლის ცხოვრებიდან, მისი საამაყო ბიოგრაფია, გადახდენილი

ომების, ქვეყნის აღმშენებლობის და საერო თუ სასულიერო ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები. ღონისძიების ხელმძღვანელმა, ნინო სიფრაშვილმა, დასაწყისში მოკლედ მიმოიხილა დავით აღმაშენებლის ცხოვრება, რომელიც შემდეგ მოსწავლეებმა განავრცეს და გაამრავალფეროვნეს. ჩატარდა გამოკითხვა – „რომ არ ყოფილიყო აღმაშენებელი.“ მონაწილეებმაც და მსმენელებმაც გამოთქვეს საინტერესო აზრები ამ საკითხის გარშემო. მოსწავლეების თემები შეავსეს ყველა თაობისთვის საყვარელმა პედაგოგმა ქალბატონმა ნანული ნატროშვილმა, აგრეთვე №2 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნონა ტოკლიკიშვილმა და ხორნაბუჯის სკოლის პედაგოგმა მარიკა პოპიაშვილმა.

ღონისძიება ძალიან საინტერესოდ წარიმართა. მოსწავლეებმა ბევრი რამ შეიტყეს ქართველთა საამაყო მეფის დავით აღმაშენებლის შესახებ. ბევრი იცოდნენ და ბევრიც გაიგეს მეფეზე, რომლის წინაშეც ქედს იხრის სრულიად საქართველო.

განუზომელია მეფე წმინდანის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. მომავალი თაობა უკეთ უნდა იცნობდეს მის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მითუმეტეს, რომ დღეს ქვეყანას გმირული და პატრიოტული სულისკვეთება ძალიან სჭირდება. „სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ჩვენი ღონისძიება „დავითობა 2019“. კვლავაც გავაგრძელებთ ჩვენი გმირი წინაპრების ისტორიის უკეთ გაცნობას“ – განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა.

ინესა ამბარიანი

ლეგენდები ლეგენდარულ ვალენტინობაზე

აგერ უკვე რამდენი წელია, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ვალენტინობას 14 თებერვალს დიდი ზეიმით აღნიშნავს. გაზეთი, ტელევიზია და საკონცერტო აფიშები ამ დღის შესახებ გვაუწყებენ. საგაზეთო სტატიებიდან და ტელეგადაცემებიდან ვიგებთ, რომ 14 თებერვალი მღვდელი ვალენტინის მოსახსენიებელი დღეა, რომელიც შეყვარებულებს ჩუმად აუღლებდა. ვინ იყო ვალენტინი? 14 თებერვლისთვის შეყვარებულები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ემზადებიან. ალბათ, გაინტერესებთ, როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ ტრადიციას. ჩვენი გაზეთიც დაინტერესდა და სწორედ ამიტომ მოვიძიეთ მასალები, რომლითაც შევეცდებით, სულ მცირე რამ მაინც მოგითხროთ ვალენტინობის დღის შესახებ. ალბათ, კიდევ უამრავი ვერსია არსებობს ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ, ექსპერტების აზრით, ეს ყველაზე ახლოსაა სინამდვილესთან.

14 თებერვალს რომის კათოლიკური ეკლესია ორ წმინდანს უკავშირებს: რომაელ მღვდელ ვალენტინს და ტერნის ეპისკოპოსს, აგრეთვე ვალენტინს. ორივე კლავდიუს მეორეს მეფობის დროს 269 წელს ეწამა. პირობითად, მათი წამების თარიღად 14 თებერვალი იქნა აღიარებული. მათ შესახებ ბევრი განსხვავებული აზრი არსებობს. კათოლიკე თეოლოგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ განსხვავებული მოწამეები იყვნენ - ერთი რომიდან 60 კმ-ს დაშორებით, ხოლო მეორე ვია- ფლამინიანას გზაზე დაკრძალეს. მეორე მოსაზრების მიხედვით, აღმოცენდა ერთი მოწამის ორი კულტი, რადგან ეპისკოპოსი ვალენტინი სიკვდილით დასასჯელად ჯერ რომში ჩაიყვანეს, ხოლო შემდეგ კი ტერნში გამოასალმეს სიცოცხლეს. წამების შემდეგ ორივე მოწამეს თავი მოჰკვეთეს. ვალენტინის თაყვანისცემა, მათი რაოდენობის მიუხედავად, ერთი წმინდანის სახეში გაერთიანდა. ფიქრობენ, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა რწმენა-წარმოდგენები შეჯერდა და ვალენტინს დაუკავშირდა. ვარაუდობენ, რომ 14 თებერვალს, ვალენტინის დღესასწაულს, წარმართული ფესვებიც უნდა ჰქონოდა, ვინაიდან მისი ცხოვრება არ იძლევა ცნობებს, რომელთა მიხედვითაც იგი შესაძლოა არშიყობისა და შეყვარებულთა მფარველი ყოფილიყო. თუმცა, მოგვიანებით, ხალხური გადმოცემის მიხედვით, მღვდელი ვალენტინი (და არა ეპისკოპოსი) შეყვარებულთა მფარველად და მეოხედ მიიჩნეოდა. ტრადიციის მიხედვით კლავდიუს მეორე (გოთიკუსმა), რომელიც ომებს ხშირად აწარმოებდა, ჩათვალა რა, რომ დაოჯახებული მეომრები ცუდად იბრძოდნენ, რომის იმპერიაში აკრძალა ახალგაზრდების ქორწინება. ამის მიუხედავად კი, მღვდელი ვალენტინი შეყვარებულ წყვილებს აქორწინებდა. იგი ქრისტიანული მოწამეების დახმარებისა და ჯვრისწერის აღსრულებისათვის შეუპყრიათ და სასტიკად უცემიათ. ლეგენდის მიხედვით, ციხეში ყოფნისას იგი დამტყვევებელი იმპერატორის ბრმა ქალიშვილს დაახლოებია და შეჰყვარებია კიდეც. სიკვდილის წინ მისთვის გულის ფორმის სასიყვარულო ბარათი მიუნერია, რომელიც ასე მთავრდებოდა: „შენი ვალენტინისგან“. ალბათ, აქედან უნდა გამომდინარეობდეს ევროპული ხალხური ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ვალენტინობას გაგზავნილი ბარათით ვაჟი თავისი რჩეულის ვალენტინი ხდება, ხოლო გოგონა ვალენტინა.

ვალენტინის სასიყვარულო ურთიერთობებთან კავშირს, როგორც თავად კათოლიკე და პროტესტანტი სპეციალისტები მიიჩნევენ, მისი ხსენების დღეს უძველესი რომაული წარმართული დღესასწაულის აღნიშვნა უნდა დასდებოდა საფუძვლად. რომაული კალენდრის მიხედვით, თებერვალი წლის ბოლო თვე იყო და სემანტიკურად „განწმენდას“ ნიშნავდა. მართლაც ამ თვეში ფებუერები (ფებურა) ანუ განწმენდის რიტუალები ტარდებოდა. ძველ რომში 14 თებერვალს იუნონასამდი მიძღვნილი დღესასწაული აღინიშნებოდა. მას რომაელი ქალების ქორწინების ღმერთად, რომაელი ღმერთებისა და ქალღმერთების დედოფლად მიიჩნევდნენ. მომდევნო დღეს 15 თებერვალს ლუპერკალიის დღესასწაული აღინიშნებოდა, ასევე ნაყოფიერების წარმართული დღესასწაულიც, რომელიც მგლის კულტს უკავშირდებოდა. ღვთაებას ლუპერკი ეწოდა. ეს დღესასწაული რემუსსა და რომულუსსაც უკავშირდება. როგორც ცნობილია, ლეგენდის მიხედვით, რომის დამაარსებლის გადამრჩენელად მგელია მიჩნეული. დღესასწაულის ღამეს, რომაელი გოგონების სახელები იწერებოდა ფურცლებზე და იყრებოდა ჯამში. ვაჟი იღებდა ქაღალდს და ვისი ქაღალდიც შეხვდებოდა, ის გოგონა მისი პარტნიორი იქნებოდა.

14 თებერვალი, ვალენტინის დღესასწაული, არ აღინიშნება კათოლიკური ეკლესიის

მიერ. ამ დღეს უბრალოდ მღვდელმოწამე ვალენტინის ხსენების დღეა, რომელსაც სიყვარულის და ოჯახური კეთილდღეობის მფარველად მიიჩნევენ. იგი რომის პაპმა გელასიუსმა 496 წელს დაანწესა. ვალენტინობას საქართველოშიც აღნიშნავენ, მაგრამ ჩვენთან 14 თებერვალი 15 აპრილს დგება.

მასალა მოამზადა
ინესა ამბარიანმა

ხუთი ჩემპიონი თბილისის ღია პირველობაზე დედოფლისწყაროს უშუს გუნდიდან

10 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა თბილისის ღია პურველობა უშუში, ტურნირზე მონაწილეობას იღებდა საქართველოს რამდენიმე რეგიონის გუნდი და ასევე სომხეთის ეროვნული ნაკრები, დედოფლისწყაროელი სპორტსმენებიც იღებდნენ ტურნირზე მონაწილეობას.

ჩემპიონები გახდნენ: ნიკა წიკლაური, ნიკოლოზ ხარაზიშვილი, ლუკა პოპიაშვილი, გივი გოჩიტაშვილი და გიორგი წიკლაური. გუნდი აგრძელებს მზადებას და სულ მალე, მარტის თვეში, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს თასის გათამაშებაში.

„თბილისის ღია პირველობაზე ჩვენი გუნდი თითქმის სრული შემადგენლობით ასპარეზობდა, გუნდს მხოლოდ კაპიტანი ნიკა ჩიტიშვილი გვაკლდა, რადგან ნიკა აქტიურად ემზადება მოსკოვში გასამართი საერთაშორისო ტურნირისთვის. ჩვენმა სპორტსმენებმა თბილისის ღია პირველობაზე 5 პირველი ადგილი დაიკავეს, რაც საკმაოდ წარმატებული შედეგია. საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა ლუკა პოპიაშვილის და გიორგი წიკლაურის ბრძოლები, ლუკა პოპიაშვილი სომხეთის ნაკრების წევს შეხვდა და გიორგი წიკლაური კი მარტვილელ საკმაოდ გამოცდილ ბავშვს. საბოლოოდ ორივემ მოიპოვა გამარჯვება. საკმაოდ სანახაობრივი ტურნირი გამოდგა. ულამაზესი ბრძოლები აჩვენენს ნიკა წიკლაურმა და ნიკოლოზ ხარაზიშვილმა, გივი გოჩიტაშვილმა კი აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა,“ – ამბობს მწვრთნელი გიორგი ცისკარაული.

21 თებერვალს რუსეთის ფედერაციაში საერთაშორისო A კატეგორიის ტურნირი: „მოსკოვის უშუს ვარსკვლავი“ გაიმართება, სადაც საქართველოდან 9 სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის დედოფლისწყაროდან **ნიკა ჩიტიშვილი.** ის ოფიციალური ნაკრების წევრი და კულტურის და სპორტის სამინისტროს სტიპენდიანტია. მას ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდია სულ ახლახან დაენიშნა.

გამოსათხოვარი

ვაჟა გონაშვილი

დედოფლისწყაროს ინტელიგენციას, დიდ პედაგოგიურ კოლექტივს, ერთი ღირსეული კაცი კიდევ გამოაკლდა. 84 წლის ასაკში 10 თებერვალს თბილისის მიწამ მიიბარა სოფელ გამარჯვებაში დაბადებული და გაზრდილი, დედოფლისწყაროში დაბერებულ-გაჭაღარავებული, ღვაწლმოსილი ადამიანი ვაჟა გონაშვილი – ნიჭიერი, ალალ-მართალი, დარბაისელი კაცი, რომელმაც რაიონის ცხოვრებას თავისი კვალი დაამჩნია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელ გამარჯვებას დაუბრუნდა. წლების განმავლობაში ასწავლიდა მათემატიკას და ქიმიას. ენერგიული და საგნის მცოდნე სპეციალისტი განათლების რაიონულ განყოფილებაში გადმოიყვანეს, სადაც ათეული წლები მუშობდა, როგორც მათემატიკის მეთოდისტი და განყოფილების გამგის მოადგილე. რამდენიმე წელს ხელმძღვანელობდა სკოლა-ინტერნატს. მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, დინჯი, გაწონასწორებული პიროვნება დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი გავლენით ბევრმა ახალგაზრდამ აირჩია მათემატიკა თავის ცხოვრების გზად. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ ჯერ სოფელ გამარჯვებაში, მამა-პაპისეულ ფუძეზე ცხოვრობდა, ბოლო 4-5 წელი კი თბილისში, მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან გაატარა.

ბატონი ვაჟა ჩემი მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი გახლდათ და დიდი წვლილი აქვს ჩვენს ჩამოყალიბებასა განათლებაზე. მინდა, გამარჯვების საშუალო სკოლის მრავალი კურსდამთავრებულის სახელით მადლობა ვუთხრა მას ჩვენზე გაწეული ამაგისთვის და უფალს ვთხოვო, დაუმკვიდროს სასუფეველი. მშვიდობით, ვაჟა მასწავლებელო!

ნაირა გორაშვილი

მონატრება

ლევან დავითაშვილი

ამ პატარა წერილს მოგონება და მონატრება არ მინდა დავარქვა, შვილო. ეს უფრო გასაუბრებაა შენს ლამაზ სულთან, ჩვენო თბილო და უსაზღვროდ მონატრებულო შვილო. 20 თებერვალი შენი დაბადების დღეა. ძალზე მძიმეა, მაგრამ უნდა მოგილოცო. 37 წლის შესრულებას გილოცავ იმქვეყნად, ზეცაში. მესამედ ვხვდებით უშენოდ, ჩემო შვილო, შენს დაბადების დღეს.

ტრაგიკულმა შემთხვევამ წამართვა შენი თავი. შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ღმერთმა, შენს მშობლებს კი მოუშუშებელი ტკივილი, რომელიც შენთან მოსვლამდე არ მორჩება. ულმობელია წუთისოფელი, სწორედ მაშინ გიმტყუნა ბედმა, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე. დაგრჩა ბევრი აუხდენელი ოცნება. შენი დაბადების დღე, რომელიც ერთ დროს ზეიმი იყო ჩვენს ოჯახში, დღეს შენი უდროოდ დაღუპვის განახლებული ტკივილია. ეს ლახვარია ჩვენს გულში, რადგან უშენოდ მოდის ყველაფერი. თითქოს დრო მალე გადის და ყოველი წუთი მაახლოვებს შენთან. ამაოდ ვცდილობ, ჩავწვდე ღვთის განგებას, ასე ნაადრევად რომ წაილო შენი ამქვეყნიური ლამაზი სიცოცხლე. მძიმეა შენი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. რა დაუნდობლად მოგექცა ბედისწერა, ლევან? შენ ხომ ჯერ ახალგაზრდა იყავი. როგორ შევეგუოთ შენს არყოფნას, რით ვინუგეშოთ თავი. შენ ხომ ირგვლივ სიყვარული დატოვე. „ამ ტკივილს საზღვარი არ აქვს, გვიჭირს უშენოდ ჩვენო ვაჟკაცო, ძალზე ძნელია ჩვენთან რომ არ ხარ და უშენობა სტკივა სამყაროს. ენატრები შენს ძმებს, შენს საყვარელ ლევანიკოს, ილოცე შენი ახლობლებისთვის იმქვეყნიდან. 20 თებერვალს მოვალთ შენს სასუფეველთან მუხლმოდრეკილი დაგინთებთ 37 სანთელს და მოგეფერებით. იქნებ ამან მაინც გაგვითბოს გაყინული და დაჩაგრული გული. ანდა, იქნებ ჩემმა ჩამოძახილმა მოაღწიოს შენამდის, რომ ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ნათელი გეფინოს, სასუფეველი დაგემკვიდრებინოს. ჩვენგან დანთებული სანთელი გინათებდეს გზას. „ღმერთს ებარებოდე.“

„დილით მზის შუქი თუ მოგანათებთ,
იცოდეთ, მასში ჩემი სულია,
მე თუ წავედი, გატკინეთ გული,
მე არ მინდოდა, ღვთის სურვილია.
გამაგრდით ყველა, ვისაც გიყვარვართ,
ღვთის სამეფოში გაზაფხულია“

შენი ოჯახი

კროსვორდი



შვეულად: 1. საქართველოში ოთხი ალაზანია: ის, რომელიც ერთვის მტკვარს, თუშეთის, ხისო და ... 2. იაპონიის რომელ ქალაქს მოიხსენიებენ ნაგასაკთან ერთად 3. იაპონელი თვითმკვლელი მეომარი 4. სამხრეთ ამერიკაში ესპანეთის კოლონების განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მეთაურია 5. ნულოვანი გეოგრაფიული სიდიდე, რომელიც გრინვიჩის ობსერვატორიაზე გადის 6. ქართული წითელყურძნიანი ვაზის ჯიში 7. ლეგენდარული ბასკი ფეხბურთელი - მეკარე 15. მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა 16. მეცნიერი, რომელიც ცხოველთა სამყაროს შეისწავლის 17. მდინარე ორინოკოს ველი 18. აქსიომა მიიღება დაუმტკიცებლად. რას სჭირდება დამტკიცება გეომეტრიაში 20. მდინარე, რომელშიც იოანე ნათლისმცემელმა ქრისტე მონათლა 21. ადამიანის ყურის ნიჟარის ნაწილი 22. კუნძული, სადაც ბინადრობენ გიგანტური ვარანები

თარაზულად: 4. ბალახი, რომელიც ყველაზე სწრაფად იზრდება 8. ეს არის ვიოლინოზე მელოდიის ერთგვარად შესრულების მანერა და იტალიურად „ბწკენას“ ნიშნავს 9. კუბაზე, ამ მცენარის მოსავლის აღებას საფრა ჰქვია 10. შინაგანი სეკრეციის რომელი ჯირკვალი გადაუნერგეს ძაღლს, რის შემდეგაც იგი შარიკოვად იქცა (ბულგაკოვის მიხედვით) 11. თენგიზ აბულაძის ტრილოგიის პირველი ფილმი 12. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა 13. სიუხვის სიმბოლო, რომლიდანაც თაფლი და ღვინო გადმოედინებოდა 14. რაში აღმოაჩინა ფლემინგმა პენიცილინი 15. ტბა დუშეთის რაიონში 19. შიშველი სხეული მხატვრობაში 21. ისლანდიელი მომღერალი ქალი 23. ელექტროდენთან მუშაობისას იყენებენ რეზინით დაფარულ ხელსაწყოებს. რას წარმოადგენს ამ შემთხვევაში რეზინი 24. ამ ქალაქშია პლაჟი კოპაკაბანა (შემოკლებული სახელი) 25. გერმანიის ზოგიერთი ქალაქის სახელწოდების შემადგენელი ნაწილი, რაც “კურორტს” ნიშნავს 26. ქრისტიანული რელიგიის დამცველი 27. კაქტუსის მსგავსი სამკურნალო მცენარე 28. “გაზაფხული შემოსულა ..., ჟრიამული აუტეხავთ ჩიტებს” 29. . “მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი, შენ არ ..., რომ არაფერი არ ..., ამიტომ მე შენზე მეტი ვიცი” 30. ფრთიანი მწერის მეტამორფოზის ბოლო სტადია 31. ნიმფა, რომელიც დაიხარჯა ყბედობისათვის და წაართვეს ლაპარაკის უნარი. მას მხოლოდ სხვისი ნათქვამის დაბოლოების გამეორება შეეძლო

მონატრება

ზურაბ ქავთარაძე



დაბადების დღეს გილოცავთ, ძვირფასო პაპიკო! 21 თებერვალი ხომ შენი დაბადების დღეა, რომელიც ჩვენთვის მუდამ სასიხარულო დღე იყო. ჟრიამულით შემოგეხვეოდით ხოლმე გარშემო, გიმღეროდით, გკოცნიდით და გილოცავდით. შენ კი პატარა ბავშვივით აცელქებული აქრობდი ტორტზე ანთებულ სანთლებს და ღმერთს ჩვენს ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს შესთხოვდი.

ახლა უკვე მეორე წელია, ისევ ტორტით ხელში, ისევ ანთებული სანთლებით, მაგრამ არა სიხარულით აჟრიამულებულები, არამედ ცრემლით სავსე თვალებით მოვდივართ შენს სურათთან, შენს მაგივრად ვაქრობთ სანთლებს და ღმერთს შენს ნათელში ყოფნას ვთხოვთ. როგორი საამაყო და სასახელო იყავი ჩვენთვის და არამარტო ჩვენთვის, არამედ მთელი სანაცნობოსთვის. ყველა გვეფერება და გვეუბნება, ძალიან კარგი პაპა გყავდათო. გვიხარია და გვეამაყება, რომ შენი შვილიშვილები ვართ და ვფიცავთ, ისეთივე კარგ სახელს დავტოვებთ ამ ქვეყნად, როგორიც შენ დატოვე.

შენს სულს სანთელ-საკმელი არ მოაკლდება, სანამ ჩვენ ვიარსებებთ, შენ კი მშვიდად განისვენე და იმქვეყნიური სასუფევლიდან ილოცე ჩვენთვის.

ზურაბ, გვანცა და სანდრო ქავთარაძეები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა შეითნიშვილს დედის

მერი შეითნიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა შეითნიშვილს დედის

მერი შეითნიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაკრების კაპიტნის წარმატებული სტარტი



დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოდან 19 წლის გური გოგილაშვილი სხვადასხვა დაბრკოლებებისა და ვარჯიშის რამდენჯერმე წყვეტის მიუხედავად სპორტს დაუბრუნდა და ფეხბურთში აქტიურად ემზადება. დღეს ის ილიაუნის ფუტსალის ნაკრების კაპიტანია და ამბობს, რომ წარმატებების მისაღწევად შესაძლებლობებს არ დაზოგავს. ილიაუნის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად ახალი შანსი სწორედ უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ მიეცა. შეამჩნიეს, სინჯეს და გაამართლა.

გური გოგილაშვილი: „თავდაპირველად, როდესაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე, გამოცხადდა შერჩევა ილიაუნის ფუტსალის გუნდში. დიდი სურვილი გამიჩნდა, რომ დიდხნიანი პაუზის შემდეგ აქტიური სპორტი ისევ გამეგრძელებინა. ამიტომაც, მივედი შერჩევაზე და ასე მოვხვდი გუნდში. შემდეგ იყო ერთთვიანი მოსამზადებელი კურსი და ამ კურსის გავლის შემდეგ ყველაზე წარმატებული აღმოვჩნდი და კაპიტნად დამნიშნეს. აქამდე მიღწევა იოლი არ ყოფილა, ბევრს ვშრომობდი და ეს ჩემს მწვრთნელს არ გამორჩენია და კაპიტნის სამკლაურით დამაჯილდოვა.

— ***გური, პირველი ნაბიჯების შესახებ გვიამბე, როგორ შეგიყვარდა ფეხბურთი?***

— ფეხბურთი პატარაობიდანვე მომწონდა. აქტიურად თამაში 1 კლასიდანვე დავიწყე და რაიონის სპორტულ გუნდში ვიყავი. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ეს სპორტი დიდ სიამოვნებას მანიჭებდა და სწორედ ამიტომ მივყვებოდი. გარკვეულწილად, ალბათ, იმან იმოქმედა, რომ მამაჩემიც თამაშობდა და ამიტომაც შემიყვანეს პირველ ეტაპზე გუნდში. რადგანაც თავად თამაშობდა, სულ უნდოდა, რომ მის შვილსაც ეთამაშა და თუ ვერაფერს მივაღწევდი, ჯანსაღი ცხოვრებით მეცხოვრა. ამიტომაც პირველივე კლასიდან შემიყვანეს ფეხბურთზე და ცეკვაზეც. წლების მანძილზე ანსამბლ „შირაქში“ ვცეკვავდი, საკმაოდ წარმატებული სოლისტი ვიყავი. ძირითადად ჩემზე დიდი ასაკის გუნდებში მიწევდა თამაში და ეს ჩემთვის ცოტა რთული იყო, რადგან სპორტში ადრეულ ასაკში მარტივად შესამჩნევია ასაკობრივი ბარიერი, ესკი ჩემში უფრო მეტ ბრძოლისუნარიანობას იწვევდა. სტიმულს მაძლევდა ისიც, რომ ოჯახის წევრები, მწვრთნელიც და თანაგუნდელებიც გვერდით მედგნენ და მამხნევებდნენ.

— ***რატომ მაინცდამაინც ფეხბურთი და არა სხვა სახეობა?***

— ყველა სპორტს აქვს თავისი ხიბლი, ადამიანებს გამსხვავებული გემოვნება აქვთ. მე სპორტის ეს სახეობა მიტაცებს და მანიჭებს სიამოვნებას, ვიღაცას სხვა სპორტის სახეობა, უშუალოდ როდესაც საკუთარ თავზე გამოცდი თავადვე მიხვდები, თუ რით განსხვავდება ფეხბურთი სპორტის სხვა სახეობებისგან.

— ***რომელმა ვარსკვლავებმა მოახდინეს გავლენა და ვის გულშემატკივრობდი?***

— თავდაპირვე ლად ჩემი საყვარელი ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო და კარლეს პუიოლი გახლდნენ. ამ ორი ფეხბურთელის თამაშის ყურება ჩემში დიდ ემოციებს და აღტაცებას იწვევდა, უკვე 6-7 წელია, რაც რეალ მადრიდის გულშემატკივარი ვარ. სწორედ კარლეს პუიოლი იყო ჩემთვის მისაბაძი ფეხბურთელი, რომელსაც ხშირად ვბაძავდი. მისი ბრძოლისუნარიანობა და სპორტული ინტელექტი ჩემში აღტაცებას იწვევდა.

— ***დედოფლისწყაროში რამდენად არის პირობები რომ სპორტსმენი განვითარდეს, მითუმეტეს, თუ დედაქალაქში წასვლას ვერ ახერხებს?***

— ადამიანის სპორტული განვითარებისთვის თავდაუზოგავი შრომის გარდა, სათანადო ხელშემწყობი პირობებიცაა საჭირო. ჩემი აზრით, თბილისში გადასვლა მაინც აუცილებელია, რადგან იქ სხვა გარემო და ხელშემწყობი პირობებია, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მეც თბილიში გაგრძელება. ნელნელა ჩვენ რაიონშიც შესაძლებელი ხდება განვითარება. დედოფლისწყაროში საკმაოდ ხარისხიანი მომზადება გავიარე და შევძელი საკმაოდ კარგ ფორმაშიც ვყოფილიყავი. არ ვთვლიდი, რომ ვიყავი საუკეთესო ფორმაში, მაგრამ შრომამ შედეგი გამოიღო. თბილიში გავაგრძელე ფეხბურთის თამაში, მინდოდა უფრო მაღალ დონეზე გადავსულიყავი. ერთ-ერთ თამაშზე, სადაც 35-ე საფეხბურთო სკოლას ვეთამაშეთ, მატჩის შემდეგ მომივიდა მოწვევა და დამიბარეს სინჯებზე, ეს ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი დღე იყო, როცა გავაანლიზე, რომ სხვა ეტაპზე გავდიოდი. 9 სკლასის დამთავრების შემდეგ გადავედი თბილიში და ჩავირიცხე 35-ე საფეხბურთო სკოლაში და იქ განვაგრძე ვარჯიში. თავდაპირველად მე-3 გუნდში მოვხდი. ამ დროს მივხვდი, რომ უფრო მეტი შრომა იყო საჭირო. რადგან დიდი სურვილი მქონდა პირველ გუნდში მეთამაშა. ყოველ დღე დაუღალავად ვვარჯიშობდი და 3 თვეში შევძელი, რომ პირველ გუნდში გადვეყვანე.

— ***თუმცა, წარმატებებთან ერთად, იყო ტრავმებიც...***

— სამწუხაროდ, გარკვეული დროის შემდეგ, ერთ-ერთ თამაშზე დავშავდი და საჭირო გახდა ოპერაციის ჩატარება. ამან ჩემს ფსიქოლოგიაზე საგრძნობლად იმოქმედა, რადგან საუკეთესო ფორმაში ვიყავი და ოპერაციის გამო 6 თვეს ვკარგავდი, ეს კი დამასუსტებდა. მაგრამ იმედს არ ვკარგავდი, რადგან სპორტში ტრავმები ხშირია ხოლმე. ტრავმის შემდეგ ისევ განვაგრძე ვვარჯიში და კვლავ შევძელი პირველ გუნდში დაბრუნება. თუმცა, მალევე ისევ დამეწყო ტკივილები და მრავალი ცდის მიუხედავად, მაინვ მომიწია თამაშისთვის თავის დანებება. ამ ეტაპიდან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სპორტს შევევშვი... ეს ჩემთვის ყველაზე რთული პერიოდი იყო, მეგონა, ცხოვრების ნაწილს ჩამოვშორდი. როცა უკვე უნივერსიტეტში ჩავაბარე, ნაკრებში ვცადე ბედი და კაპიტანი გავხდი, ამან გამომაცოცხლა. დღესაც ისევ აქტიურად ვარ ჩართული ფუტსალში, სადაც ილიაუნის სახელით გამოვდივარ შეჯიბრებზე. კერძოდ, უნივერსიტეტებს შორის და ახლად შექმნილ ფუტსალის ლიგა 2-ში, მიმდინარეობს სისტემატიური ვარჯიში და ვცდილობთ, მაქსიმალურ შედეგს მივაღწიოთ.

— ***ამჟამად რისთვის ემზადები, როგორია სამომავლო გეგმები?***

— მინდა, სპორტული თვალსაზრისით კიდევ გავიზარდო, მაქსიმალურად ვიყო ფორაში, რათა, რაც შეიძლება მაღალ ეტაპზე ავიდე, იმედია, ამას მივაღწევ.

ყველა სპორტსმენის მიზანი მეტი ტიტულის მოგებაა. ამ ეტაპზე ჩართული ვარ ორი სახის ტურნირზე და მინდა, ორივე ტურნირის გამარჯვებული გავხდე. ხასიათით ძალიან მაქსიმალისტი ვარ. ამჟამად ამაზე ვარ კონცენტრირებული და მომავალში რა იქნება, ამას დრო აჩვენებს. პოპულარობაზე ნაკლებად ვფიქრობ, ჩემთვის მთავარი მიღწეული შედეგია. პოპულარობას უმეტესად ხალხის სიყვარული მოაქვს, მაგრამ რა თქმა უნდა, აქვს უარყოფითი მხარეც, რაც ფსიქიკაზე მოქმედებს. ფსიქოლოგიურად კი მზად ვარ, თუნდაც კრიტიკას გავუძლო, ან მოვისმინო ხალხის აზრი ჩემთან დაკავშირებით. კრიტიკაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ხშირად შეიძლება ადამიანმა ისეთი რამ დაინახო, რაც მას გაზრდაში ხელს შეგიწყობს, ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის მისაღებია.

— ***ფეხბურთის გამო რაზე გიწევს უარის თქმა, რა მსხვერპლს მოითხოვს შენი რეჟიმი?***

— სიმართლე გითხრათ, მნიშვნელოვან რამეზე უარის თქმა არ მიწევს. უბრალოდ, დიდი დრო არ მრჩება გასართობად, ან მეგობრებთან ერთად დროის სატარებლად, თუმცა, ამის დაბალანსებაც შეიძლება. როდესაც აქტიურად ხარ სპორტით დაკავებული, ძირითადად სასმელზე უარის თქმა გიწევს, რადგანაც ალკოჰოლი საზიანოა ორგანიზმისთვის. არც სიგარეტი მხიბლავდა. მაგრამ, ადამიანი მხოლოდ სასმელით ხომ არ ერთობა? ხშირად მეგობრებთან ყოფნა და მათთან საუბარიც დასვენების მშვენიერი საშუალებაა ჩემთვის.

— ***რატომ ატარებ გრძელ თმას, ეს რისი გამოხატულებაა?***

— როდესავ ვცეკვავდი, მაშინ გამიჩნდა თმის გაზრდის სურვილი და მას შემდეგ ასე ვატარებ. შეიძლება ერთერთი მიზეზი ისიცაა, რომ ფეხბურთელების დიდ ნაწილს გრძელი თმა აქვს. უბრალოდ, ცეკვისთვის დამახასიათებელია გრძელი თმა და თავდაპირველად ამიტომ გავიზარდე, შემდეგ უკვე მომეწონა და დავიტოვე.

— ***გური, ამბობ, რომ მუხლის პრობლემა შეგექმნა, მწვრთნელები ამბობენ, რომ ბავშვობის ასაკში ფეხბურთის პარალელურად ქართულ ცეკვაზე სიარული სპორტსმენს მუხლს უზიანებს...***

— ასე სწორხაზოვნად ვერ ვიტყვი, რომ ცეკვა მუხლს აფუჭებს, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ არასწორი დატვირთვა აზიანებს მუხლს, ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. ერთდროულად ცეკვაზეც და ფეხბურთზეც ვვარჯიშობდი. დიდი დატვირთვა მიწევდა და ვფიქრობ, საწყის ეტაპზე ეს არასწორი იყო.

— ***ვინ არის შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი?***

— რა თქმა უნდა ყველას აზრს ვითვალისწინებ და ვცდილობ, რომ ყველა შენიშვნა გამოვასწორო. ყველაზე მეტად მამაჩემის აზრს ვითვალისწინებ ხოლმე. ჩემი გულშემატკივარი ოჯახი და მეგობრები არიან, რომლებიც სულ გვერდში მიდგანან.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ჩვენ ვიცით, რამდენად სასიამოვნოა, როდესაც საზოგადოება დაუფასებს შენს შრომას და განვლილი ცხოვრების გზას. ამიტომ, გულწრფელად გვიხარია ჩვენი თანამემამულეების ნანული ნატროშვილის, თამარ მოძღვრიშვილის, ლია ოზაშვილის, ნანა ჭიჭინაძის, ნუნუ ცაკაშვილის, ინგა შიოლაშვილის და ნარა გორაშვილის ღირსეული დაჯილდოვება, როგორც წარმატებული ადამიანების და შპს-ების ხელმძღვანელების. ვულოცავთ თითოეულ მათგანს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

პატივისცემით, 1998 წლის „საუკეთესო წყვილის“ ტიტულის მფლობელები ჯიმი ალულიშვილი და ლალი ბოჭორიშვილი

ცარო მარტიაშვილს

ჩვენი რაიონის კულტურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებ მუდამ და შენი მაღალპროფესიული ოსტატობით იპყრობ მაყურებლის გულს. არაერთგზის დაგიმშვენებია ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, რისთვისაც მადლობლები ვართ შენი. გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვეთ ჯანმრთელობას და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილება.

მადლიერება

ჩვენს ოჯახში ამ ახალ წელს თოვლის პაპა მეორედ მოვიდა – ოღონდ ჩვენ თოვლის ბებოს უფრო დავარქმევდით **ქალბატონ მარინა ღვინიაშვილს** (ამ კეთილ ხუმრობას ნუ გვიწყენს).

ჩემს გაჭირვებულ ოჯახს დიდი სიხარული აჩუქა, პატარა შვილიშვილის სახეზე პირველად დავინახეთ ღიმილი - ქალბატონმა მარინამ ჩემი პატარა მერიკო მაღაზიაში წაიყვანა და უამრავი საჩუქრით გაუხარა გული.

ღმერთმა სიკეთე და მშვიდობა ნუ მოუშალოს მის ოჯახს, გვიმრავლოს ასეთი კეთილი ადამიანები.

4 წლის მერიკოს ბებია – ცისანა ქველიძე. **ქ. დედოფლისწყარო**

იყიდება!

იყიდება სასწრაფოდ 3 ოთახიანი ბინა დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქ.N35 ში კეთილმოწყობილი, ევრორემონტით. ფასი შეთანხმებით.
☎ 598 13 82 12

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 18.02	სამშაბათი 19.02	ოთხშაბათი 20.02	ხუთშაბათი 21.02	პარასკევი 22.02	შაბათი 23.02	კვირა 24.02
დღე	3°	3°	-2°	4°	7°	8°	7°
ღამე	2°	-2°	-4°	2°	6°	6°	6°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.